# თავისუფალი საქართველო

№20

29 სექტემბერი
12 ოქტომბერი

1995 წ.

ფასი 30 თეთრი

სარეგისტრაციო მოწმობის
№ 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ● რედაქტორის სვეტი

1989 წლის 25 თებერვალს სამგლოვიარო მიტინგი უნდა ჩატარებულიყო. რუსთაველი გადატენილი იყო მილიციით, გამვლელებს ქუჩაში გაჩერების და ერთმანეთთან დალაპარაკების საშუალებას არ აძლევდნენ.

ხალხი მაინც არ იშლებოდა. გამვლელები შეთქმულის გამომეტყველებით იდგნენ ავტობუსის გაჩერებაზე, ან ვიტრინების წინ და ხაზგასმული გულგრილობით ათვალიერებდნენ ჩაჩქანიან მილიციელებს. ირგვლივ ყველაფერს შეთქმულების ელფერი ჰქონდა. ეს ამაღლებულ და მღელვარე განწყობილებას ქმნიდა. ამინდიც უცნაურად მშვენიერი იყო, გამტყდარი ზამთრის პირველი სურნელება იდგა ქუჩაში.

გულუბრყვილო და კეთილი დრო იყო.

ქუჩაში ერთ-ერთმა მოღვაწემ გამოიარა. მაშინ საქართველო პატივს სცემდა ამ ადამიანს. ეს ის დრო იყო, როცა სიტყვა "მოღვაწის" მიმართ არ არსებობდა დღევანდელი მწარე ირონია. უცებ უცნაური რამ მოხდა - ხალხი, რომელიც აქამდე მონდომებით თამაშობდა ჩვეულებრივი გამვლელის როლს, მქუხარე ტაშით მიეგება თავისთვის პატივსაცემ პიროვნებას.

ის პიროვნება, რომელსაც მაშინ ტაშით ხვდებოდა ქართველი ხალხი, დღესაც დადის თბილისის ქუჩებში, რაღაცას ისევ მოღვაწეობს, ისევ წერს, ვითომ იბრძვის რაღაცისთვის, მაგრამ უკვე აღარავის აღელვებს მისი საქმიანობა, აღარავინ აყოლებს აღფრთოვანებულ მზერას, აღარავინ ეკითხება აზრს ქვეყნის ბედ-იღბლის გარშემო.

გრიგალიანმა წელიწადებმა გადაიყოლა გულუბრყვილო, კეთილი დროის მხიარული ილუზიები.

ჩვენ პირისპირ დავრჩით ჩვენს თავთან - ყველა იმ ტვირთით, რაც იმ დროიდან აქამდე გამოვატარეთ. ყველამ მეტ-ნაკლები სიმძიმით ვწიეთ ჭაპანი. საფასურიც ყველამ ჩვენი გარჯის შესაფერისი დავიმსახურეთ. არაფერი დაკარგულა, ცოდვაც და მადლიც აწონილია.

ნეტავ, იმ კაცმა მიიღო რამე იმ სიყვარულის საფასურად, რომელიც დაკარგა. და ვინ არის უფრო მოტყუებული და გაცუდებული - ხალხი, რომელსაც აღარ სჯერა უმსხვერპლო თავდადების, თუ ის, ვისაც საკუთარი თავის პატივისცემა დააკარგვინეს?

ვინ დარჩა გამარჯვებული - ის, ვინც ბრძოლაში თავი წააგო და სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული თავგანწირვის საფასურად - ერის საუკუნო სიყვარული დაიმსახურა, თუ ისინი - ჭკვიანი დიპლომატები, წარმატებული პოლიტიკოსები, - ვინც საბოლოოდ მარტო აღმოჩნდა იმ საშინელი სიცარიელის პირისპირ, რომელიც სიყვარულის და ღირსების სანაცვლოდ დარჩა?

სიკეთესაც და ბოროტებასაც ერთი საერთო თვისება აქვს. ორივე განუწყვეტლივ ითხოვს მსხვერპლს, თითოეული თავისას. ყველა ადამიანი ოდესმე დგება არჩევანის წინაშე, რომელს ემსხვერპლოს - სიკეთეს, რომელიც დათმენას, ტკივილს, გარჯას, ღვაწლს, თავგანწირვას მოითხოვს, თუ იმას, მეორეს... რასაც ზვარაკად ღირსება, სახელი, სინდისი, სიყვარული, საკუთარი თავის პატივისცემა უნდა შეეწიროს.

ასე ხდება, პატარა თუ დიდი კომპრომისები შთანთქავს ადამიანში მის უკვდავ არსს და ვიღაც მართლა კარგი, ერთ მშვენიერ დღეს, თავისი გაუსვრელი ღირსების შენთვის მიუწვდომელი სიმაღლიდან დამცინავად გადმოგძახებს: "მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა, თურმე ფეხებზედ ჰკიდია". - და შენ არაფერი გაქვს სათქმელი, რადგან შენი ოდესღაც წრფელი არგუმენტები იმ სიცარიელეში გაიფანტა, რომელიც კომფორტის თუ სიმშვიდის საზღაურად აირჩიე.

სამყარო თავისი კანონებით ცხოვრობს. იმ კარგის ნათელი - საუკუნეების მერეც სხივად ადგას შენს მიერ გაყიდული და ნაღალატები ქვეყნის თვალუწვდენელ მწვერვალებს და მომავლისკენ უკვლევს სიკეთის ძნელ გზას.

## რას ნიშნავს არჩევნების ბოიკოტი?

ეს არის ამომრჩეველთა გამოუცხადებლობა, არმისვლა საარჩევნო უბნებში, სადაც კი ხუნტა შეძლებს მათ ორგანიზებას. მაგრამ ეს არის პასიური ბოიკოტი.. აუცილებელია აქტიური ბოიკოტიც, მხოლოდ გამოუცხადებლობა არ კმარა, საჭიროა მოქალაქეებმა წერილობით დააფიქსირონ, ოღონდ არა საარჩევნო უბნებში მისვლით, არამედ წერილების ან დეპეშების გაგზავნით იმავე ხუნტის მისამართით, სხვადასხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მისამართით. თავიანთ წერილებსა და პეტიციებში მოქალაქეებმა უნდა დაგმონ ეს ცრუ არჩევნები, ეს ფარსი და განაცხადონ, რომ ისინი არ ღებულობენ მონაწილეობას უკანონო არჩევნებში.

რატომ არის ეს არჩევნები უკანონო?

ვინაიდან ის დანიშნა უკანონო ხელისუფლებამ, რომელსაც არავითარი იურიდიული უფლება არ ჰქონდა ამ არჩევნების დანიშვნისა, ე.ი. ამ არჩევნებს არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, რადგანაც ხუნტას, ხელისუფლებაში ძალადობით მოსულს, ასეთი რწმუნება ხალხისგან არ გააჩნია.

არჩევნები უნდა დანიშნოს მხოლოდ კანონიერმა, ხალხის მიერ არჩეულმა პარლამენტმა, ხოლო ეს პარლამენტი, როგორც მოგეხსენებათ, ხუნტამ გარეკა. მისი ნაწილი იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ნაწილი კი იატაკქვეშეთშია, მრავალი დეპუტატი დაპატიმრებული იყო.

აი, ასეთ პირობებში, ტერორის, რეპრესიების პირობებში არჩევნების ჩატარება, ვიმეორებ, არის ფარსი. ეს არის შეურაცხყოფა ქართველი ხალხისა, ეს არის აბუჩად აგდება ქართველი ერის ნებისა, რომელმაც უკვე ორჯერ გამოხატა თავისი ნება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში.

ამდენად, ყველა შეგნებულმა მოქალაქემ ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს ამ არჩევნებს, ხელი მოაწეროს საპროტესტო პეტიციებზე, რომელიც დღეს დგება საქართველოში და რომელიც გმობს ამ არჩევნებს და უცხადებს სრულ ბოიკოტს მას.

აი, ეს არის ჩემი პოზიცია ამ არჩევნებთან დაკავშირებით და რაც უფრო ორგანიზებულად, რაც უფრო ინტენსიურად ჩაივლის ეს ბოიკოტი, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება ამას.

ამის პირველი ნაბიჯი იქნება არჩევნების სრული, ტოტალური ბოიკოტი, არც ერთი ადამიანი, არც ერთი მოქალაქე არ უნდა გამოცხადდეს საარჩევნო უბანში, ამასთან, უნდა გაგრძელდეს აქტიური ბოიკოტი არჩევნებისა.



გაზეთი "აღდგომა"
1992 წლის 3 სექტემბერი

## მანანა არჩვაძე-გამსახურდია:
## „ვაცხადებ პროტესტს გამსახურდიას ოჯახის სახელით“

### მიმართვა სრულიად საქართველოს მოსახლეობისადმი



როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება მონაწილეობს ხუნტის მიერ დანიშნულ ცრუ არჩევნებში. ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოებამ იბრძოლოს კანონიერი პარლამენტისა და მთავრობის აღდგენისთვის, კონსტანტინე გამსახურდიას სახელს იყენებს პირადი მიზნებისთვის, რაც უზნეობად, სამშობლოს ღალატად და მწერლის ხსოვნის შეურაცხყოფად მიმაჩნია.

კატეგორიულად ვუცხადებ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ყველა წევრს, რომელიც ცდილობს ამოეფაროს მწერლის სახელს, რომ პასუხს აგებს ერის წინაშე, როგორც მოღალატე.

ხუნტამ შევარდნაძის პირადი მითითებით ფიზიკურად გაანადგურა მწერლის ერთადერთი ვაჟი, სრულიად საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, გადაწვა და ააოხრა "კოლხური კოშკი" და მწერლის საფლავი. საქართველოდან გააძევა კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ოჯახით, დააობლა მისი ვაჟიშვილები, რომლებიც დღესაც დევნილები არიან.

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, რომლისთვისაც ცნობილია ხუნტის მიერ ჩადენილი ღალატი ერის წინაშე, ცდილობს მის დაკანონებას, რითაც შეურაცხყოფს მწერლის ხსოვნას და პირადად ჩვენს ოჯახს.

კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრება და შემოქმედება ყოველთვის უკომპრომისო იყო, იგი ემიჯნებოდა საქართველოს მოღალატეებს და ბოლომდე დარჩა თავისი მრწამსის ერთგული.

ვაცხადებ პროტესტს კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახისა და შთამომავლობის სახელით და მოვუწოდებ სრულიად საქართველოს ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს მოღალატეებს, რომლებიც ოცდაათი ვერცხლის ფასად ცდილობენ მწერლის სახელისა და ავტორიტეტის გამოყენებას საქართველოს წინააღმდეგ.

დაგმობილ იქნას კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების მიერ ჩატარებული ყველა აქცია სრულიად საქართველოს მიერ.

14სექტემბერი, 1995 წ.

## ვისთვის მზადდება წინასაარჩევნო გილიოტინა?

ორშაბათის რადიოინტერვიუში შევარდნაძემ განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია 29 აგვისტოს აფეთქების შედეგად დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორთა ვინაობა. მან ვერ დამალა გულისტკივილი - "სამწუხაროდ, სპექტრი ძალზე ფართოა".

ხელისუფლების მხრიდან ძალისმიერი მეთოდების გააქტიურება წინასაარჩევნო მარათონში მმართველი კლანის გამაჯვების საწინდარს წარმოადგენს. იარაღით მოსულებს სხვაგვარად არც შეუძლიათ: როცა სიმართლე შენს მხარეს არ არის, ძველი სიცრუე ახლით უნდა შენიღბო და განამტკიცო. ეს მით უფრო ადვილია, როცა გუშინდელი თანამზრახველები ისედაც ცოდვებით არიან დამძიმებულნი და მართლაც იმსახურებენ სასჯელს, თუმც მეტწილად არა იმისთვის, რაც ბრალდებათ.

მიუხედავად ამისა, წინასაარჩევნო ბრძოლა დამნაშავეობასთან უფრო კონკურენტების ჩამოცილებისა და აშკარა ანგარიშსწორების ხასიათს ატარებს.

მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს, ვინაიდან შევარდნაძისა და მისი კლანის სასარგებლოდ შეთხზული მითები, ჩვეულებისამებრ, კატასტროფული სისწრაფით იფანტება. ის იყო საზოგადოება დაარწმუნეს, რომ უახლოეს მომავალში ქართული მხარე რუსეთის სამხედრო დახმარებით გაიკვალავს გზას აფხაზეთისკენ, რომ გაეროს გენერალურმა მდივანმა და თავად რუსეთმაც ცივი წყალი გადაასხა ეიფორიაში მყოფ შევარდნაძეს, რომელმაც თავი მართლაც დავით აღმაშენებლად წარმოიდგინა. შედეგად, გაეროს უარის გამო ჩაიშალა 25 სექტემბრისთვის თბილისში დაგეგმილი საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი.

თურქეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტის შედეგად შეთხზული მეორე დიდი ზღაპარი - აზერბაიჯანიდან ნავთობმაგისტრალის გაყვანით შემოსულ ასეულობით მილიონ დოლარზე - დასრულდა აღმოსავლეთის "რკინის ლედის" გადადგომით. შეძლებს თუ არა რუსეთი ნავთობმაგისტრალის თავის ტერიტორიაზე გატარებას - საკამათო საკითხია. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს ვარიანტის ჩაშლას შეძლებს. არც თქვენ, არც ჩვენ - ასე ხდება მეგობრებს შორის საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა.

ამდენად, საფიქრალია, რომ არჩევნების წინ შევარდნაძის ავტორიტეტის საგარეო ფაქტორთა ხარჯზე ამაღლების შანსები მცირდება. რჩება მხოლოდ შიდაფაქტორები, რომელთა არსენალი თუმც ძველი და არცთუ ისე ფართოა, მაგრამ საიმედო. ამდენად, კონტრრევოლუციურ შეთქმულებათა გახსნას, შესაძლოა, კვლავ მოჰყვეს პროვოკაციები მორიგ მხილებათა უზრუნველსაყოფად.

რომანოზ საგინაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოხუმის დაცემა: ტრაგედიის დასაწყისი, ტრაგედიის დასასრული

**ორი წლის წინ, ამ დროს, ზუგდიდის ცენტრში, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას რეზიდენციის წინ შეკრებილი ხალხის დაზაფრულ მდუმარებას დროდადრო არღვევდა გაურკვევლობისგან შეშლილი კაცების შეძახილი და გამწარებული დედების მეგრული მოთქმა. პრეზიდენტი ადგილზე არ იყო. იგი სისხამ დილიდან ფრონტის ხაზზე გავიდა, კინდღში. შემდეგ ოჩამჩირეში შეხვდა კანონიერი ეროვნული გვარდიისა და ფაქტობრივი ხელისუფლების შეიარაღებულ ძალთა ოჩამჩირის შტაბის ხელმძღვანელებს. მიღწეული იყო შეთანხმება ერთობლივი მოქმედების შესახებ. მოდის ინფორმაცია, რომ სოხუმში ბრძოლები გრძელდება, თუმცა, პოლიტიკოსებმა და ხელმძღვანელებმა უკვე დატოვეს ქალაქი. მაგრამ თუ სოხუმი დაეცა კიდეც, როგორც ამას ოფიციალური წყაროები იტყობინება და მათ შორის ყველაზე ოფიციალური - თავად შევარდნაძე, ეს არ ნიშნავს, რომ დათმობილ იქნეს მთელი აფხაზეთი. გასამაგრებელია ოჩამჩირე, გალი - ასეთია პირველადი ამოცანა. დანარჩენი შემდეგ.**

## ომი დამთავრდა...

ასეთი იყო 1993 წლის ივლის-აგვისტოში ფაქტობრივი ხელისუფლების ოფიციალური დოქტრინა. ომი დამთავრდა და განიარაღდით, დაბრუნდით თქვენს სახლებში, ჩამოიყვანეთ თქვენი ოჯახები და მოემზადეთ მშვიდობისთვის, სასწავლო დაწესებულებები ელიან მოსწავლეებსა და სტუდენტებს, ვინც არ ჩამოვა - გაირიცხება. სოხუმის ბულვარზე ზაფხულის მზე ეთამაშება გამწვანების სამსახურის ბეჯით მუშაკთა მიერ დარგულ ყვავილებს, - გვამცნობს "მაცნე" - ჩამოდით, ნუთუ არ მოგენატრათ ზღვა, პალმების შრიალი, სანაპიროს მარილიანი ჰაერი.

ამ ეიფორიაში ყრუდ გაისმოდა მეომრებისა და ხალხის უფრო ფრთხილი თუ უნდობი ნაწილის გაფრთხილება - მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხო!

მაგრამ მათ ყურს არასოდეს უგდებდნენ ისევე, როგორც მათ პრეზიდენტს. არც მაშინ, როდესაც იწყებდნენ ამ ომს, არც მაშინ - როდესაც ამთავრებდნენ, არც მაშინ - როცა მორიგი სამხედრო ესკალაციის და მარცხის წინ მორიგ სამშვიდობო ხელშეკრულებას აწერდნენ ხელს.

27 ივლისის შეთანხმება ვითომდაც ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, ამ დიპლომატიურ თამაშთა სერიალის დასკვნით, საბედისწერო ეტაპს წარმოადგენდა. მისი შინაარსი უკვე ნათელს ხდიდა, რომ აფხაზეთი დათმობილია. გადასაწყვეტი იყო მხოლოდ ტექნიკური მხარე: როგორ მოხდებოდა ეს - ომით, თუ მშვიდობით.

ხალხი კი ბრუნდებოდა. და არა მარტო ლტოლვილები. აფხაზეთის სასწავლებლებში მიიჩქაროდა დასავლეთ საქართველოსა და საკუთრივ სამეგრელოში მაცხოვრებელი სტუდენტობა, ნათესავების სანახავად მიდიოდნენ ძმები, დები, ბიძაშვილები, გამოთხოვილი ქალიშვილები, ისინიც კი, ვისაც ეშინოდა ამ ავისმომასწავებელი მშვიდობის.

სექტემბრის პირველ რიცხვებში სოხუმის ერთ-ერთი სამეცნიერო დაწესებულების პროფესორი, სამხედრო რაზმის მეთაური სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ომი აღარ განახლდება. "რომ განახლდეს, რას იზამთ?" - ვეკითხები. "ვერაფერს, ტექნიკა, ფაქტიურად, აღარ გვაქვს, ავტომატებით ვართ, მაგრამ ეს არ მოხდება - ომი დამთავრდა..."

## მშვიდობით, იარაღო!

ივლისის ბოლოდან, ჯერ ხელშეკრულების ხელმოწერამდე, აფხაზეთიდან ზუგდიდის მიმართულებით უკვე დაიწყო მარათონული სრბოლები. დარბოდა ყველა: ისიც, ვისაც ესმოდა, რომ 27 ივლისის ე.წ. სამშვიდობო ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ არსებითად ქართული მხარის განიარაღებისა და აფხაზეთის მთელი მმართველობის არძინბასთვის გადაცემის პირობას წარმოადგენს, და ისიც, ვისაც, უბრალოდ, არ უნდოდა ძვირადღირებული იარაღის დაკარგვა. დარბოდნენ, რათა არ ჩაებარებინათ შეიარაღება, მძიმე ტექნიკა, თანაც ვისთვის - რუსისთვის.

მაგრამ როცა დრო მოვიდა, ტექნიკის უდიდესი ნაწილი სოხუმიდან და ფოთიდან, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, რუსეთის გემებით რუსეთისკენ გაეშურა. რისი გატანაც ვერ მოასწრეს, ის დააზიანეს, ქვემეხებს მოხსნეს ჩახმახები, რომელთა გარეშეც მთელი ეს მძიმე აღჭურვილობა ჯართად იქცა. ქართული მხარე თითქმის სრულიად განიარაღდა. თითქმის, ვინაიდან შეიარაღების ნაწილი მართლაც იქნა გადამალული, ნაწილი - გამოტანილი სამეგრელოში, ან უფრო აღმოსავლეთითი. მაგრამ ეს რომ საქმეს არ შველოდა, იცოდა ყველამ - სჯეროდა თუ არა, თავსდამტყდარი მშვიდობის. იცოდა მაგრამ არავის გაუწევია წინააღმდეგობა, არავის განუცხადებია ღია პროტესტი, შესაძლოა, იმის გამოც, რომ ჯერ კიდევ ხელშეკრულების ხელმოწერამდე, წინააღმდეგობის გაწევის სუსტი მცდელობა ძირშივე იქნა ჩახშობილი. გავიდა დრო და მაშინდელი "შეამბოხენი" გაურკვეველ ვითარებაში დაილუპნენ და, გმირებად აღიარებულნი, საბრძოლო პატივით დაიკრძალნენ, ხოლო ისინი, ვინც ორი წლის წინ უზრუნველყო მათი მორჩილება, დღეს იწირებიან ერთგული სამსახურისთვის.



სოხუმი,. 1993 წლის 9 სექტემბერი
ქართული ჯავშანტექნიკისა და ქვემეხების გატანა რუსეთის სადესანტო გემზე

## გამოსვლა

16 სექტემბერს ზუგდიდი არ ზეიმობდა, როგორც ამას დღემდე ურცხვად აცხადებენ მოქალაქე-სატელიტები. ზუგდიდი მოთქვამდა: იმიტომაც, რომ აქ მანამდე ხვდებოდნენ - აფხაზეთი განწირულია; იმიტომაც, რომ იქ, სოხუმში თავისიანები ეგულებოდათ. ახალგაზრდა კაცი მუშტებით იწმენდდა ცრემლებს და უკვე დასტიროდა დედულეთში გაგზავნილ ფეხმძიმე ცოლს. სატელეფონო ხაზი მხოლოდ სოხუმს ეკავა: აქედან აწვდიდნენ მონაცემებს ფრონტზე გაგზავნილი შეიარაღებული ძალების, იქიდან მეომრებისა და მოქალაქეების ახლობლების შესახებ - ვინაა ევაკუირებული, ვინ დაკარგული, ვის ეძებენ. იყო ნიშნის მოგებაც - აბა, მეგრელებო, რას შვრებით, ქეიფობთ არა?!

მეგრელები, კანონიერი გვარდიის მეომრებიც და მოხალისეებიც, უკვე ოჩამჩირის ფრონტზე გადიოდნენ. 18 სექტემბერს სენაკიდან სოხუმში გადაფრინდა ეროვნული გვარდიის სოხუმის ბატალიონი. დარჩენილები იქიდან გამოდევნილ მეგრელებს ხვდებოდნენ.

17 სექტემბრიდან უკვე მოაწყდა ზუგდიდს ლტოლვილთა ნაკადი ოჩამჩირის გადამწვარი სოფლებიდან. სოხუმის დაცემის შემდეგ, ერთ დღეში დაიცალა გალის რაიონი და მთელი იქაური მოსახლეობა ენგურს აქეთ გადმოვიდა. შემდეგი ეტაპი იყო ლტოლვილების გადმოყვანა სვანეთიდან. ზუგდიდი-ჭუბერის გზაზე ყველანაირი ტრანსპორტი ვერ ადიოდა. ამიტომ, მობილიზებული იყო მძიმე სატრანსპორტო საშუალებები, ტრაქტორებიც კი. ათამდე მანქანით დღეში ოთხი-ხუთი რეისი კეთდებოდა. ზოგჯერ ტრანსპორტის ნაწილი უქმად იდგა საწვავის უქონლობის გამო.

ჩამოსულები მოჰყავდათ ლტოლვილთა კომიტეტში, ზუგდიდის ცენტრში, პრეზიდენტის რეზიდენციის წინ. ჩამოდიოდნენ პირქუში, გამწარებული, დაშინებული ადამიანები და პირველი, რასაც კითხულობდნენ - რას გვიზამენ, მოგვკლავენ? ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა თითქოს რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო ვერ ხვდებიან, სად მოხვდნენ და ვისთან არიან. შემდეგ კი გამოირკვა, რომ სწორედაც კარგად ხვდებიან. უმრავლესობა აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ ზუგდიდში მათ იგივე ბედი ელოდათ, რაც აფხაზთა ტყვეობაში - საკონცენტრაციო ბანაკი, ან დახვრეტა. ვინ, როდის, ან როგორ მოახერხა მათი ამაში დარწმუნება, ან რა მასშტაბური და ეფექტური პროპაგანდა იქნა გაწეული, ან ვის ეცალა იქ ამისთვის?!

თბილისში კი ნამდვილად ეცალათ. თბილისის ტელევიზია კატეგორიულ უარს აცხადებდა ლტოლვილთა დაკარგული ნათესავების შესახებ მონაცემების მიღებასა და გამოცხადებაზე. რატომ? - გაკვირვებით კითხულობდნენ გამწარებული ლტოლვილები. იმიტომ, რომ სამეგრელოში ლტოლვილები არ არიან, მაგრამ ეს-ესაა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გავლილი ადამიანი ვერც მიხვდება ამ მზაკვრული იდეოლოგიის მექანიზმს.

## გარანტირებული მარცხი

ოფიციალური ინფორმაციების თანახმად, სამეგრელოში არც ერთი ლტოლვილი არ ყოფილა არასდროს და ერთადერთი, რასაც აკეთებდა ეროვნული გვარდია, გზას უკეტავდა დევნილ ხალხსა და მეომრებს. თუმცა, ამ უკანასკნელებმა აფხაზეთიდან გამოქცევის ტემპებით ყველა რეკორდი მოხსნეს და ვინმეს რომც სდომებოდა, ვერც გადაუკეტავდა გზას - გადათელავდნენ. გალი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიცალა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბრძოლები ოჩამჩირის რაიონს არ გასცილებოდა. აფხაზებს ისღა დარჩენოდათ, ენგურზე დაედოთ საზღვარი - 27 ივლისის შეთანხმებისამებრ.

არა მგონია, ეს გაქცევა მხოლოდ შიშის სინდრომით ყოფილიყო გამოწვეული - აფხაზეთში ქართველები იბრძოდნენ, მოწინააღმდეგის აშკარა უპირატესობის მიუხედავად. ეს იყო განწირულობის სინდრომი და ამიტომაც გარბოდნენ. გარბოდნენ ისე, რომ უკან რჩებოდათ ის მცირე ტექნიკაც, რაც შეიტანეს ომის განახლების შემდეგ (სხვათა შორის, სამეგრელოს გავლით, კანონიერი ეროვნული გვარდიის საიმედო დაცვის ქვეშ) და მოსახლეობაც, რომელიც შემდეგ ფრონტზე დარჩენილ ადგილობრივ რაზმებსა და კანონიერ გვარდიას გამოჰყავდა ენგურს გამოღმა.

ჯარი გარბოდა, ვინაიდან უკვე იცოდა, რომ მისი სარდალი გმირულად გაიქცა ბრძოლის ველიდან. მაშასადამე, არ არსებობს არავითარი გარანტიები. ამის გარეშე კი ქართველს ბრძოლა აღარ სურს, აღარ შეუძლია - მოგვწონს თუ არა, ეს უნდა ვაღიაროთ. ბრძოლაში ისინი მიჰყვებოდნენ არა შევარდნაძეს, არამედ გარანტიებს, რომლითაც შევარდნაძე სპეკულირებდა. იქნება ამიტომაც, ჯარი არ გაჰყვა პრეზიდენტს ბრძოლაში, არ შეასრულა მისი ბრძანება და ოჩამჩირეში დათქმული პირობა. ჯარი გაჰყვა სოხუმიდან "ღირსეულად" გამოქცეულ შევარდნაძეს.

**24 სექტემბერს, სამშობლოში ჩამოსვლისთანავე, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: "ჩემი დაბრუნების მთავარი მიზანია აფხაზეთის ომის წარმატებით დამთავრება." ეს პირობა თავისთავად ეწინააღმდეგებოდა ომის "ღირსეულად დამთავრების" ფორმულას.**

პრეზიდენტი არ ჰპირდებოდა რუსეთისგან გაცემულ გარანტიებს. იგი მიდიოდა ქართველებთან, რომლებმაც იარაღით განდევნეს სამშობლოდან და მათგან ნამდვილ ბრძოლას, ნამდვილ გმირობას, ნამდვილ თავდადებას მოითხოვდა, ანუ იმას, რის გარეშეც შეუძლებელია მომხდურ მტერზე გამარჯვება. პრეზიდენტი ცდილობდა აეხსნა მათთვის, რომ დამპყრობლის მძევალ აფხაზს ყოველთვის მეტი გარანტია ექნება, ვიდრე საკუთარი მიწის დამცველ ქართველს, ამიტომ, ჩვენი გამარჯვების ერთადერთი საფუძველი თავგანწირული ბრძოლაა.

დღეს ეს უკვე არქაიზმადაა მიჩნეული საზოგადოების მიერ, რომელმაც თავისი ცინიზმითა და ნიჰილიზმით გარყვნა უბრალო ადამიანის, უბრალო გლეხის, უბრალო ჯარისკაცის ცნობიერება. ხოლო იქ, სადაც სამშობლოსთვის თავდადებას ცვლის მტრის მიერ ნაჩუქარი გამარჯვების თეორია, იქ არავის არაფრის გარანტია აღარ აქვს. გარანტირებულია მხოლოდ მარცხი და უსახელო სიკვდილი.

## სამშვიდობო პერსპექტივა

ომი დამთავრდა, მაგრამ მასთან ერთად არ დაესვა წერტილი აფხაზეთის პრობლემით სპეკულირებასა და ილუზიებით მანიპულირებას. უკვე 1993 წლის ნოემბერში, ლტოლვილებით სავსე ზუგდიდში ელოდნენ რუსის ჯარის შემოსვლას, რომელიც თითქოსდა წინ გაუძღვებოდა ქართულ ჯარს აფხაზეთისკენ და შეუფერხებლად გაიყვანდა მდინარე ფსოუმდე.



მათ უკან იწვოდა სოხუმი

ახლოვდება 1995 წლის ნოემბერი და საქართველოში კვლავ რუსის დახმარებას ელიან. ინერგება იგივე თეორიები, იგივე ილუზიები. ამჯერად მიზანი უფრო უტილიტარულია - არჩევნების წინ ხალხის მხარდაჭერის მოპოვება. თუმცა, გაუგებარია, რაში სჭირდება ეს მხარდაჭერა რეჟიმს, რომელსაც გარანტირებული აქვს მმართველობის შენარჩუნება: დემოკრატიულობის ილუზიის შესაქმნელად, თუ ისტორიის წინაშე პირნათლად წარმოჩენისთვის?!

თუ პირველი მიზეზით - ეს სადღეისო და ამქვეყნიური საკითხი ადვილად გადაიჭრება; რაც შეეხება ისტორიის სამსჯავროს - მის წინაშე დღევანდელ მმართველებსა და მათ ინტელექტუალ პროპაგანდისტებს მაინც მოუწევთ პასუხისგება რიგ' კითხვებზე:

რატომ არ არის დაცული დღემდე სატრანსპორტო მაგისტრალების თბილისი-ლესელიძის მონაკვეთი? რატომ კარგავდა საქართველო ტერიტორიებს რუსეთის "შუამავლობით" დადებული ყოველი სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ? რატომ დაიწყო 1993-94 სასწავლო წელი აფხაზეთში პირველ სექტემბერს, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე 20 სექტემბერს? რატომ არ დაიწყო სოხუმის მოსახლეობის მასიური ევაკუაცია 16 სექტემბრიდანვე? რატომ არ იქნა გამოყენებული სვანეთის გზა მტრისთვის ზურგში დასარტყმელად - იქნებ მას დეპორტირებული მოსახლეობისთვის ინახავდნენ? სოხუმზე შტურმის დროს რატომ იდგა საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი შენაერთები სამტრედიასა და ფოთში? რატომ არ მიიღეს მათმა მეთაურებმა - ვაშაკიძემ და გიორგაძემ - ბრძანება, დაძრულიყვნენ აფხაზეთის ფრონტისკენ? თუ მიიღეს და არ დაემორჩილნენ, რატომ მოხდა მათი თანამდებობიდან გადაყენება არა ომის დროს, არამედ ორი წლის შემდეგ? როდემდე უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა მხოლოდ მეისრეებს, ან განდევნილ, ბლოკადაში მოქცეულ, დიქტატორად წოდებულ პრეზიდენტსა და მის მომხრეებს? დაბოლოს, აგებს თუ არა პასუხს ოდესმე, ან რაიმეზე მთავარსარდალი, რომლის ხელმძღვანელობითაც არ იქნა მოპოვებული არც ერთი მნიშვნელოვანი წარმატება, რომელმაც სამარცხვინოდ წააგო ომი, ქვეყანას მოსწყვიტა ორი უმნიშვნელოვანესი რეგიონი, გაწირა ასეულ ათასობით ადამიანი და შემდეგ გაიქცა, თუმცა, ჰპირდებოდა ალყაშემორტყმული ქალაქის მოსახლეობას - მე თქვენთან ვარ და თქვენთან ერთად მოვკვდებიო? როგორ მოექცეოდნენ ასეთ სარდალსა და ასეთ პოლიტიკოსს ცივილიზებულ დემოკრატიულ ქვეყანაში?

ალბათ, ხელახლა აირჩევდნენ...

*ანა ჭავჭავაძე*

# ხშირად გამოძიება ხელისუფლების მსახურია და არა ჭეშმარიტების

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია ა.წ. 30 აგვისტოს შოთა .რატიანის დაკავებასთან დაკავშირებით. ამჯერად გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტპატიმრის ადვოკატთან ბ-ნ მერაბ ნავროზაშვილთან**

**კორესპონდენტი: - ბატონო მერაბ, რის საფუძველზეა დაკავებული თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი შოთა რატიანი?**

მერაბ ნავროზაშვილი: - შოთა რატიანი ეჭვმიტანილია "სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულებაში მონაწილეობისა და სახელმწიფო მოღვაწის მიმართ ტერორისტული აქტის მომზადების ფაქტთან დაკავშირებით." ეს არის რესპუბლიკის პროკურორის მიერ გაცემული სანქცია. ხოლო გამოძიებამ მას ბრალი წაუყენა შემდეგზე: სხვა პირებთან ერთად ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა, რომლის მიზანს წარმოადგენდა პარლამენტის შენობის შეიარაღებული გზით დაკავება, სახელმწიფოს მეთაურის დატყვევება და საჭიროების შემთხვევაში მისი ფიზიკური ლიკვიდაცია და ძალაუფლების ხელში ჩაგდება. თითქოსდა ეს ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეიქმნა მომხდარ ტერორისტულ აქტამდე 7 დღით ადრე.

ეს ბრალდება აბსურდულია, რამეთუ 28 აგვისტოს - მარიამობა დღეს, ასევე 29 აგვისტოს - ტერორისტული აქტის განხორციელების დღეს, შოთა რატიანი იმყოფებოდა ერთ-ერთ ოჯახში გაშლილ სუფრასთან, სადაც მრავლად იყვნენ სხვა პირები და სწორედ იქ მოიტანეს ინფორმაცია მომხდარი ტერორისტული აქტის შესახებ. მე მოვითხოვე მომხდარიყო იმ პირთა დაკითხვა, რომელთაც ასახელებს შ. რატიანი, რათა ყოველივეს ნათელი მოჰფენოდა, მაგრამ გამოძიებას ეს დღემდე არ გაუკეთებია.

**კორ. - რა მტკიცებულებები გააჩნია ძიებას ბრალდებულის წინააღმდეგ?**

მ. ნ. - შოთა რატიანს ისე წაუყენეს ბრალი, რომ მისი ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობის რაიმე კონკრეტული დამამტკიცებელი არ არსებობს.

**კორ. - ბატონო მერაბ, რა დარღვევებს აქვს ადგილი ძიების ამ ეტაპზე?**

მ. ნ. - მე მიმაჩნია, რომ მოქმედი სსსკ 160-ე მუხლის თანახმად, თუ ეჭვმიტანილის, ბრალმდებლისა და მოწმეთა ჩვენებებს შორის არის არსებითი სხვაობა, გამოძიება ვალდებულია მოახდინოს დაპირისპირება. შოთა რატიანი უარყოფს თავის მონაწილეობას რაიმე ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში და მას პარლამენტის შენობის იერიშისა და სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ ტერორისტული ქმედების განხორციელების არც განზრახვა, არც სურვილი არ ჰქონია. თუ მას ვინმე ამხელდა ამგვარ საქმიანობაში, ზემოხსენებული მუხლის თანახმად, უნდა მომხდარიყო მათ შორის დაპირისპირება.

**კორ. - თვლით თუ არა, რომ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულოა და თუ ასეა, რა ზომებს მიმართეთ მის გასათავისუფლებლად?**

მ. ნ. - 11 სექტემბერს ჩემს მიერ ოფიციალურად დაისვა შუამდგომლობა, რომ შ. რატიანის მიმართ წაყენებული ბრალდება არის ზოგადი, საფუძველს მოკლებული და იგი უნდა გათავისუფლებულიყო უსაფუძვლო პატიმრობიდან. მაგრამ ჩემს შუამდგომლობაზე უარით მიპასუხეს.

**კორ. - ბატონო მერაბ, თვლით თუ არა, რომ რატიანი დაპატიმრებულია პოლიტიკური მოტივით?**

მ. ნ. - თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ შ. რატიანი არ მალავს თავის პოლიტიკურ მრწამსს - აცხადებს, რომ არის კანონიერი ხელისუფლების მომხრე, გამოდის, მისი დაკავების საფუძველი პოლიტიკურია.

**კორ. - თუ გაეცანით ამ საქმესთან დაკავშირებით დაკავებულ სხვა ეჭვმიტანილთა ჩვენებებს, რის საფუძველზე მოხდა მათი დაპატიმრება, ჩატარდა თუ არა დაპირისპირებები?**

მ. ნ. - 1995 წლის 5 აპრილს პარლამენტის მიერ შეტანილ იქნა შესწორებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს გაეცნოს მხოლოდ მისი დაცვის ქვეშ მყოფის ახსნა-განმარტებებსა და ჩვენებებს, მისი დაკავების ოქმს. აღნიშნული კანონით, ადვოკატს წართმეული აქვს საქმის მასალების გაცნობის უფლება.

ეს იმას ნიშნავს, რომ ადვოკატი რეალურად ვერ განახორციელებს დაცვას. აღნიშნული კანონით, ძიების მასალები ფაქტობრივად გაასაიდუმლოეს, ადვოკატს წაართვეს საშუალება, როგორც ეს მითითებულია კანონში, ყოველგვარი კანონიერი ფორმებით განახორციელოს მისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების დაცვა. მაშინ, როდესაც ცივილიზებულ, სამართლებრივ სახელმწიფოში ადვოკატს უფლება აქვს დამოუკიდებლად აწარმოოს ძიება, ჩვენს დემოკრატიულ საქართველოში იმის უფლებაც კი წაგვართვეს, რაც კომუნისტური მმართველობის დროს იყო ნებადართული.

**კორ. - დაბოლოს, პროტესტის რა ფორმებს მიმართავთ?**

მ. ნ. - საჩივრებით მივმართავ ზემდგომ ორგანოებს მანამ, სანამ არ იზეიმებს სამართლიანობა. მაგრამ აქვე დავძენ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენს ბიუროკრატიულ ზემდგომ ინსტანციებში ადვოკატის საჩივრები ხშირად რჩება "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", რამეთუ ასევე ხშირად გამოძიება ხელისუფლების მსახურია და არა ჭეშმარიტების.

*18 სექტემბერი, 1995*

*ესაუბრა*

*მანანა ბერძენიშვილი*

**საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიის ცნობით, შოთა რატიანის მიმართ იყენებენ ფიზიკური ზემოქმედების მეთოდებს. ამგვარი ზემოქმედების შემდეგ, მას დიდხანს არ ახვედრებენ ხოლმე ახლობლებს.**

# ნემო ჭანტურია კვლავ საპყრობილეშია

როგორც შევიტყვეთ, 15 სექტემბერს პოლიტპატიმარი ნემო ჭანტურია, რომელიც დაავადებულია მწვავე დიაბეტით, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან მოულოდნელად იქნა გადაყვანილი თბილისის N1 იზოლატორის საპყრობილეში (დახურულ ციხეში - ე.წ. "კრიტში"). არც შესაბამისი ორგანოები და არც სხვა სპეციალისტ-მედიკოსები არ დაინტერესებულან, დასაშვებია თუ არა, ასეთი მძიმე ავადმყოფის გადაყვანა საპყრობილეში. საგულისხმოა, რომ 30 სექტემბერს ნემო ჭანტურიას ეთავდება საპყრობილეში ყოფნის ვადა და იგი უნდა მოათავსონ კოლონიაში.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია მოითხოვს პოლიტპატიმარ ნემო ჭანტურიას გათავისუფლებას და აცხადებს, რომ დიაბეტით დაავადებულის სიცოცხლეს ციხესა და კოლონიაში, სადაც ელემენტარული სანიტარული და საყოფაცხოვრებო პირობებიც კი არ არსებობს, რეალური საფრთხე ემუქრება. მანამდე კი კომისია კატეგორიულად მოითხოვს, რომ პოლიტპატიმარი გადაიყვანონ ავჭალის და არა ქსნის კოლონიაში, ვინაიდან დიაბეტით დაავადებულის კომატოზურ მდგომარეობაში ჩავარდნის შემთხვევაში, მას ქსანში ვერ აღმოუჩენენ სათანადო დახმარებას, ხოლო თბილისში სასწრაფო ტრანსპორტირება მეტად საეჭვოა და ავადმყოფის სიცოცხლე რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. თუკი ნემო ჭანტურიას მოათავსებენ ავჭალის კოლონიაში, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მისი სწრაფი გადმოყვანა რესპუბლიკურ საავადმყოფოში და დახმარების დროული აღმოჩენა.

# მართლმსაჯულების მორიგი მსხვერპლი

## პოლიტპატიმარი ნუგზარ აბრამიშვილი გარდაიცვალა სასამართლოს მსვლელობისას

**ნუგზარ აბრამიშვილი, 46 წლის, განათლება - საშუალო ტექნიკური, პირველი ჯგუფის ინვალიდი, ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.**

ნუგზარ აბრამიშვილი დააპატიმრეს 1994 წლის 17 ივნისს უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა, როგორც მაღალი ძაბვის ანძების აფეთქების ორგანიზატორი, უშუალო შემსრულებელი და ამ დივერსიული აქტის დროს გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერების დამამზადებელი. მისი ბრალდება დაკვალიფიცირდა სსკ 69-ე (დივერსია) და 238-ე (იარაღის ტარება, შენახვა, გადაზიდვა, დამზადება) მუხლებით. მთელი წინასწარი ძიების პერიოდში პოლიტპატიმარი იმყოფებოდა სუკ-ის იზოლატორში და ჰყავდა სახაზინო დამცველი. საგამოძიებლო იზოლატორში გადაიყვანეს მხოლოდ სასამართლო პროცესის დაწყებისთვის. 1976 წელს მიღებული საწარმოო ტრავმის გამო ნ.აბრამიშვილი დაინვალიდდა - სახეში შეესხა ქიმიური ნივთიერება და, პრაქტიკულად, დაკარგა მხედველობა ორივე თვალში. ამ ფიზიკური ნაკლის გამო, კანონის თანახმად, უშიშროების სამსახურის გამომძიებლებმა მას დაუნიშნეს ნდობით აღჭურვილი პირი - სუკ-ის თანამშრომელი ქალბატონი, რომელსაც პატიმარი არც კი იცნობდა. კანონის მიხედვით, ნდობით აღჭურვილ პირს ეჭვმიტანილი არათუ უნდა იცნობდეს, არამედ უნდა ენდობოდეს და თვითონ ასახელებდეს კიდევაც. ძიების მიერ დანიშნული ქალბატონი "ეხმარებოდა" ნ.აბრამიშვილს ჩვენებების შედგენასა და წაკითხვაში. როგორც სასამართლო პროცესზე აღმოჩნდა, პოლიტპატიმარს თავისი ხელით არც ერთი ჩვენება არ დაუწერია. მისივე განცხადებით, მას რაღაც ფურცლებზე აწერინებდნენ ხელს, რომლებსაც არც კი უკითხავდნენ, ხოლო მისი "აღიარებები" განუწყვეტელი ცემისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ ხდებოდა.

პოლიტპატიმრის ოჯახმა მხოლოდ სასამართლო პროცესისთვის შეძლო მისთვის სასურველი ადვოკატის აყვანა. კოლეგიის თავმჯდომარე პოლიტიკურ პროცესებში გაწაფული, "ზვიადისტების" საქმეთა უბადლო ოსტატი, "ყვარლისა" და ოთხოზორია-შურღაიას პროცესების გმირი იური ტყეშელაშვილი გახლდათ, ხოლო სახელმწიფო ბრალმდებელი ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ნემო ჭანტურიასა და ბარძიმაშვილ-კოჭლამაზაშვილის სასამართლოების პროკურორი - ნუგზარ ბეჟიტაშვილი იყო. სამსჯავრო გამოძიების დროს ნ.აბრამიშვილმა უარყო მის მიმართ წარდგენილი ბრალდებები. განაცხადა, რომ არც კი იცნობს ანძის დანარჩენ ამფეთქებლებს. მოწმედ მოყვანილმა მსჯავრდებულებმა - კუპრავამ, ლულუნიშვილმა, ლჟინიაშვილმა, სულავამ - აღიარეს, რომ აბრამიშვილთან არავითარი დანაშაულებრივი კავშირი არ ჰქონდათ.

სასამართლო პროცესის დაწყებიდან 10 დღის თავზე - 15 სექტემბერს პროკურორმა მოითხოვა ინვალიდი პოლიტპატიმრისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მოხდით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში და თანაც ამ განაჩენს ზედმეტად ლმობიერი უწოდა. ორშაბათს კი, 18 სექტემბერს, სასამართლოზე მოსულ ოჯახის წევრებსა და დამცველს შეატყობინეს, რომ სასამართლო არ შედგებოდა პატიმრის მოულოდნელი გარდაცვალების გამო. სასამართლო კოლეგიამ გამოაქვეყნა გარდაცვალების ცნობა, რომლის თანახმადაც, აბრამიშვილი გარდაიცვალა 1995 წლის 17 სექტემბერს, ღამის 3 საათზე, გულის უკმარისობის გამო (?!).

ოჯახის წევრებს, რატომღაც, თუთიის დახშული კუბოთი გამოატანეს მიცვალებული და თანაც აცნობეს, რომ გაკვეთისას მას "გული გამსკდარი არ ჰქონია, არც სისხლჩაქცევები და სილურჯე აღენიშნებოდა". მეუღლემ ისიც შეიტყო, რომ სიკვდილის მომენტში ავადმყოფი მარტო ყოფილა. თუმცა, როგორც ოჯახის წევრებმა თვითონ პოლიტპატიმრისაგან იცოდნენ, ის მოთავსებული იყო 20 ადგილიან საკანში, სადაც 40 პატიმარი ცხოვრობდა.

ნუგზარ აბრამიშვილის სიკვდილში ჯერ კიდევ ბევრი რამ იწვევს ეჭვს.

# საქართველოს ჰელსინკის კავშირის მიმართვა ქართველ ერს, საქართველოს მთელ მოსახლეობას

**თანამემამულენო!**

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის მიერ ინსპირირებული შეთქმულებისა და შეიარაღებული გადატრიალების შედეგად საქართველოდან განდევნილ იქნა კანონიერი პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო. ძალაუფლება ხელთ იგდო რეანიმირებულმა კომუნისტურ-კრიმინალურმა ხუნტამ რუსეთის მარიონეტი ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, რომელმაც უზრუნველყო საქართველოს შეყვანა რუსეთის განახლებული იმპერიის - "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" - შემადგენლობაში, ქვეყნის ისტორიული ტერიტორიების - შიდა ქართლისა და აფხაზეთის - საქართველოსგან მოწყვეტა, იქაური მოსახლეობის გენოციდი და სრული დეპორტაცია მშობლიური მიწიდან, საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგება 25 წლის ვადით.

ამ ოთხი წლის განმავლობაში ქვეყანა იქცა ტერორის, განუკითხაობის, რუსეთთან გარიგების შედეგად პროვოცირებული ომების ასპარეზად. რუსეთის მიერ მართული ამ პროცესების მთავარი მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა, მისი ხალხის გენოციდი, ეროვნული ღირსების გათელვა, გნმათავისუფლებელი სულისკვეთების ჩახშობა.

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ტერორისა და ძარცვის მსხვერპლი გახდა. პოლიტიკური დევნისა თუ სიდუხჭირის გამო, მილიონზე მეტმა მოქალაქემ დატოვა სამშობლო და უცხო ქვეყნებში გაიხვეწა, 300 ათასზე მეტი ლტოლვილი უსახლკაროდ, უსასოდაა დატოვებული, ხოლო მათთვის განკუთვნილ ჰუმანიტარულ დახმარებას ითვისებს მმართველი ხუნტა და მის მიერ პრივილეგირებული კასტა.

მოახლოებული არჩევნებისთვის შევარდნაძე ცდილობს როგორმე გაიმართლოს თავი და სხვას გადააბრალოს იმ კატასტროფული მდგომარეობის შექმნა, რომელშიც ჩააგდო საქართველო მისი ხუნტის მმართველობამ. ამისთვის იგი ეძიებს განტევების ვაცს ხან კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა შორის, ხან თავისსავე კრიმინალურ გარემოში, რომლის მეშვეობითაც მოიპოვა და განიმტკიცა ძალაუფლება.

**ქართველი ხალხი არ უნდა მოტყუვდეს!**

უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს თავს დატეხილ უბედურებათა გამო, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთსა და მის მარიონეტ შევარდნაძეს და არა შემსრულებელ პაიკებს, რომლებსაც იგივე შევარდნაძე აძლევდა დავალებას და შემდეგ საპატიო წოდებებს ურიგებდა. მათი ჩამოცილება არ გააკეთილშობილებს არსებულ რეჟიმს, რამეთუ იგი თავისი არსითაა კრიმინალური და ყოველთვის მონახავს თავის წიაღში სისხლისმსმელ დამნაშავეებს.

1995 წლის 5 ნოემბრისთვის დანიშნული არჩევნებით არსებული რეჟიმი ცდილობს საბოლოოდ დაიკანონოს ძალაუფლება, რათა კვლავ განაგრძოს საქართველოსთვის დამღუპველი პოლიტიკა. ამ არჩევნებში საქართველოს მოსახლეობის მონაწილეობა ნიშნავს იმ საშინელების გახანგრძლივებას, რომელშიც ოთხი წლის განმავლობაში გვიხდება ცხოვრება; ნიშნავს უარის თქმას სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, ერის ინტერესებზე.

ეს არჩევნები არ ჩატარდება შიდა ქართლსა და აფხაზეთში, სადაც აღარ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია და სადაც სეპარატისტთა დამცველებად ხუნტამ რუსეთის ჯარი ჩააყენა. მაშასადამე, არჩევნები იქნება კიდევ ერთი და, შესაძლოა, საბოლოო ნაბიჯი ამ ტერიტორიების დაკარგვისკენ.

ამ არჩევნებში მონაწილეობა ნიშნავს დაკანონებას დანაშაულებრივი რეჟიმისა, რომელსაც არ შეუძლია ტერორისა და ძარცვის გარეშე მართოს ქვეყანა. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ და რა სახით განახორციელებს ამ ტერორს: გუშინ თუ "მხედრიონი" გვივარდებოდა სახლებში, დღეს იგივეს უფრო კომპეტენტური სტრუქტურები აკეთებენ; გუშინ თუ ხუნტის მიერ მოქსეული ყაჩაღები გვძარცვავდნენ, ხვალ ამას სახელმწიფო აპარატი და საბანკო-საფინანსო სისტემა ითავებს.

**ამ არჩევნებში მონაწილეობა ნიშნავს უარის თქმას ჩვენს მომავალზე!**

რეჟიმს დაქვემდებარებული რიგი პოლიტიკური ორგანიზაციები ცდილობენ ხალხის მოტყუებას და არწმუნებენ მოსახლეობას, რომ არჩევნებით შესაძლებელია ხელისუფლების რეფორმირება, შევარდნაძის გადარჩევა, ეროვნული ხელისუფლების ჩამოყალიბება. ეს სიცრუეა, ვინაიდან გამეფებული ნომენკლატურულ-პოლიციური რეჟიმის პირობებში ხალხის ხმა არაფერს წყვეტს. მომავალ პარლამენტში ყველა ადგილი უკვე განაწილებულია, პოლიტიკური პარტიები ვაჭრობითა და გარიგებით მოიპოვებენ სადეპუტატო მანდატებს და არა ხალხის მხარდაჭერით.

შევარდნაძემაც და მისმა ოპოზიციამაც იცის, რომ მათ უკანონო ბატონობას ბოლოს მოუღებს მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის საერთო-სახალხო დაუმორჩილებლობა, რომლის ყველაზე მშვიდობიანი და აქტიური გამოხატულება დღეს შეიძლება იყოს არჩევნების ბოიკოტი!

ნუ მოტყუვდებით! ნუ მიხვალთ საარჩევნო უბნებში, ნუ ჩაყრით ბიულეტენებს საარჩევნო ყუთებში!

ნუ შეგეშინდებათ ტერორის, ვინაიდან ყველაზე საშინელი ტერორი სწორედ არჩევნების წარმატების შემთხვევაში მოელის საქართველოს მთელ მოსახლეობას - განურჩევლად ეროვნებისა და პოლიტიკური მრწამსისა.

საქართველოში ამ რეჟიმის დაკანონებით ჩვენ ყოფილი სსრკ-ს მთელ სივრცეზე განვამტკიცებთ კომუნისტურ-კრიმინალური რეჟიმების აღდგენის პროცესს, რომელიც სწორედ საქართველოს კანონიერი პრეზიდენტისა და ხელისუფლების დამხობით დაიწყო. მისი გარდუვალი შედეგი იქნება 1937 წლისმაგვარი ტერორი და ახალი ტოტალიტარული ზესახელმწიფოს შექმნა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველო, კავკასია იმპერიის სამხედრო-სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ინტერესების კვანძს წარმოადგენს. ჩვენ, კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხებთან ერთად, არ უნდა დავუშვათ იმ კვანძის განმტკიცება, რომლითაც ჩვენი ჩამოსახრჩობი ყულფი იკვრება. ჩვენ უნდა გავჭრათ ეს კვანძი!

**მოგიწოდებთ, საერთო-სახალხო ბოიკოტი გამოუცხადოთ უკანონო არჩევნებს და მშვიდობიანი გზით მოვაცილოთ საქართველოს დამნაშავე მარიონეტული რეჟიმი!**

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე ამ წმინდა ბრძოლაში!

*20 სექტემბერი, 1995*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანტისაარჩევნო ტრიბუნა

# ამ არჩევნებში მონაწილეობა ზნეობრივი პრინციპების ღალატია

**თენგიზ კიკაჩეიშვილი "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" ვიცესპიკერი, პროფესორი.**



კორესპონდენტი: - ბატონო თენგიზ, როგორია თქვენი დამოკიდებულება არჩევნებისადმი?

თენგიზ კიკაჩეიშვილი: - ამ კითხვაზე პასუხისას, ვგულისხმობ როგორც ჩემს პირად, ასევე პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო"-ს დამოკიდებულებასაც - აბსოლუტურად უარყოფითი. ჩვენ ამ არჩევნებს ვუცხადებთ ბოიკოტს. მიგვაჩნია, რომ ეს არის მცდელობა რიგით მეორე არჩევნების ჩატარებისა. ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ ბრძოლას "მრგვალი მაგიდის" დეკლარაციაში აღნიშნული მეთოდებით, ცხადია, ახალი ვითარების გათვალისწინებით.

კორ. - თქვენს ანტისაარჩევნო მოძრაობას შეიძლება ეწოდოს ანტიშევარდნაძისტული, თუ მას სხვა საფუძველიც აქვს?

თ.კ. - შევარდნაძე არის წარმომადგენელი ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული, ანტიდემოკრატიული ძალებისა. ამ ძალების სხვა ნებისმიერი წარმომადგენელი იგივე პოლიტიკას გაატარებდა, რასაც შევარდნაძე ატარებს. ამდენად, ჩვენთვის სულ ერთია ვისი ხელით ხორციელდება ანტიქართული პოლიტიკა. ჩვენ ვებრძვით არა შევარდნაძეს, არამედ საქართველოში დღეს არსებულ მარიონეტულ რეჟიმს.

კორ. - "მრგვალი მაგიდა" ცალკე აპირებს ანტისაარჩევნო კამპანიის წარმოებას, თუ სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეეცდება მიზნის მიღწევას?

თ.კ. - " მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" თავადაა გაერთიანება. ჩვენ დიდი ხანია გვაქვს კონკრეტული პროგრამა, გეგმა 5 ნოემბრის არჩევნების ბოიკოტის განსახორციელებლად. შექმნილი გვაქვს გაფართოებული კომისიები. ჩვენ მივესალმებით ყველას, ვინც მოისურვებს თანამშრომლობას ამ კომისიებთან. ეროვნულ ძალებთან, რომლებიც ცდილობენ ბოიკოტის განხორციელებას, ჩვენ გვექნება სრული ურთიერთგაგება.

კორ. - რას ნიშნავს ბოიკოტი და როგორ ფიქრობთ მის განხორციელებას?

თ.კ. - ჩვენ შემუშავებული გვაქვს ბოიკოტის გეგმა და იგი მრავალი მუხლისგან შედგება. ბოიკოტი ყველაზე ეფექტურად განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი არ მივა საარჩევნო უბნებში. ვფიქრობთ, რომ ჩვენი მომხრეები საერთოდ არ უნდა მივიდნენ ყუთებთან. ის აზრი, რომ მივალ საარჩევნო უბანში და გადავშლი ყველა ბიულეტენს, გაუმართლებლად მიგვაჩნია. ვიმეორებ, ბოიკოტს ჩვენ მივიჩნევთ ქმედითად მაშინ, თუ მოსახლეობა არ მივა საარჩევნო უბნებში. გარდა ამისა, უნდა მოხდეს ამ არმისვლის დაფიქსირება. ჩვენ კომისიებში გვეყოლება წარმომადგენლები, რომელთა მიერ მოხდება მოსახლეობისთვის დარიგებული საკონტროლო ფურცლების შეგროვება. სწრაფად უნდა აიკრიფოს ეს საკონტროლო ფურცლები. ჩვენ, ცხადია, წავაწყდებით წინააღმდეგობას არსებული ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ მაინც უდა ვეცადოთ, შევაგროვოთ ეს ფურცლები, საბუთი იმისა, რომ მოსახლეობა არ მივიდა არჩევნებზე. ამით, არჩევნების შედეგების გაყალბების შემთხვევაში, გვექნება საშუალება, ვამხილოთ ყალბისმქნელები.

ბოლო ორი-სამი თვის მანძილზე ჩვენ ბევრს ვმოგზაურობთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. როცა ჩვენს საბოიკოტო პროგრამას ვუხსნით, ბევრგან გვეუბნებიან, რომ ზოგიერთ ადგილას საერთოდ არ მიაქვთ საკონტროლო ფურცლები. ასეთ შემთხვევაში, უნდა შევადგინოთ იმათი სია, ვისაც არ დაურიგდა ეს ფურცლები, მოაწერონ ხელი და ეს ხელმოწერილი დოკუმენტები მოგვცენ ჩვენ.

ორიოდ დღის წინ შევაღწიეთ სამაჩაბლოს ზონაში. შევხვდით ხალხს, გავმართეთ მიტინგები. ხალხი ერთსულოვანია იმაში, რომ შეადგინონ ხელმოწერები და ასე დააფიქსირონ არჩევნების ბოიკოტი.

კორ. - არის ასეთი აზრი, რომ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ბოიკოტის წარმატებით განხორციელება. თქვენ როგორ უყურებთ ბოიკოტის პერსპექტივას?

თ.კ. - ჩვენი გაანგარიშებით, დღევანდელ პირობებში ამომრჩეველთა 50%-ის მიყვანა საარჩევნო უბნებში არცთუ იოლია. თქვენ კი მოგეხსენებათ, რომ როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კვორუმი არის ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 50%+1. ამდენად, შესაძლოა, არჩევნები ვერ განხორციელდეს. კიდევ უფრო მეტი არეულობაა მოსალოდნელი საპრეზიდენტო არჩევნებში. ჩემის აზრით, ბოიკოტის განხორციელება შესაძლებელია. ოღონდ, ჩვენც ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ ამ მიზნის მისაღწევად. ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ იქნება დამკვირვებელი, ანუ რამდენად შეძლებს შევარდნაძე არჩევნების შედეგების გაყალბებას. ჩემის აზრით, განსაკუთრებული ყურადღებაა მისაქცევი მათ ხმებზე, ვინც გასულია საქართველოდან. ვინაიდან, ჩვენი მხრიდან ამ ხალხის ხმებზე კონტროლი, ობიექტური მიზეზების გამო, ძნელად მოხერხდება, შევარდნაძე შეძლებს მათი ბიულეტენების გამოყენებას. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ამ მიმართულებითაც ვცდილობთ მუშაობას.

კორ. - აქტიურად ვრცელდება აზრი, რომ ეროვნულ ძალთა არჩევნებში მონაწილეობის იდეა მომდინარეობს დასავლეთის პოლიტიკური კონიუნქტურიდან, ანუ დასავლეთი დაინტერესებულია ეროვნული ძალების აქტიური ჩართვით საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. თქვენი კომენტარი ამ საკითხზე.

თ.კ. - მართალი გითხრათ, არ ვიცი, ვინ რა საბუთებით ამტკიცებს ამას. მე ხშირად მქონია შეხვედრები ე.წ. დასავლეთის წრეებთან - როგორც სახელმწიფოებრივი, ისე არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან. უნდა გითხრათ, რომ ისინი პირდაპირ გვთავაზობენ არჩევნებში მონაწილეობას. ხშირად სატყუარასავით გადმოგვიგდებენ ხოლმე - თქვენ გაიმარჯვებთ კიდევაც არჩევნებშიო. თუ ვინმე ფიქრობს, რომ დასავლეთი ჩვენზე ზრუნავს, მე მას არ დავეთანხმები. დასავლეთს თავისი მიზნები აქვს, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. მას აწყობს სიწყნარე რეგიონში, სიწყნარე ნებისმიერ ფასად, რასაც ახორციელებს კიდეც. თუმცა, ჩვენმა ძალისხმევამ, შესაძლოა, გარკვეული კორექტივები შეიტანოს მათ პოზიციაში. ასე რომ, თავი და თავი არის ჩვენი წინააღმდეგობა, ჩვენი მტკიცე პოზიცია, რათა ანგარიშგასაწევი გახდეს ჩვენი მისწრაფებები.

კორ. - დღეს ხშირად გაიგონებთ ასეთ აზრს: ოღონდ შევარდნაძე არა, და სულ ერთია, ვინ იქნება. თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს?

თ.კ. - შევარდნაძისეული მეთოდებით მოღვაწე ნებისმიერი პიროვნება ჩვენთვის ისევე მიუღებელია, როგორც შევარდნაძე. რაც შეეხება იმას, რომ ეშმაკსაც შევეკვრები, ოღონდ შევარდნაძე მოვიცილოთო - ეშმაკთან შეკვრით კეთილი საქმე ჯერ არავის გაუკეთებია, არასოდეს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი არის ძირეული ცვლილებები. ხშირად გვეკითხებიან, როდის მოვა თქვენი დრო, როდის მიიღებთ მონაწილეობას არჩევნებში. ამაზე მე ვპასუხობ: ზვიად გამსახურდია 30-40 წელი იყო ეროვნული მოღვაწე, მაგრამ მან მაშინ განახორციელა თავისი იდეალები, როცა გარღვევის მომენტი დაუდგა. ამდენად, დროსაც აქვს მნიშვნელობა. ამაში ჩვენ ვგულისხმობთ კავკასიურ პრობლემასაც, ვგულისხმობთ მსოფლიო, გლობალური მასშტაბის პრობლემებსაც. ამ კონტექსტში უნდა განხორციელდეს ყველაფერი. "მრგვალი მაგიდა", პრინციპულად, არჩევნების მომხრეა, ოღონდ, კანონიერი ხელისუფლების მიერ დანიშნული არჩევნების. მხოლოდ ასეთ არჩევნებშია შესაძლებელი "მრგვალი მაგიდის" მონაწილეობა.

კორ. - არჩევნებში მონაწილეობის მომხრეთა ერთ-ერთ არგუმენტად გაისმის აზრი, რომ გაიყვანენ რა თავის დეპუტატებს პარლამენტში, უფრო ეფექტურად იქნება შესაძლებელი ეროვნული პოზიციების დაცვა და ეროვნული ინტერესების სამსახური.

თ.კ. - აქ გასათვალისწინებელია რამოდენიმე ასპექტი. ვიცით, რომ ეს არის შევარდნაძის დანიშნული არჩევნები. ჩვენ თავიდანვე განცხადებული გვქონდა კონვენციაში, რომ არ მივიღებთ მონაწილეობას უკანონო ხელისუფლების მიერ დანიშნულ არანაირ არჩევნებში. ამდენად, არჩევნებში მონაწილეობა არის მორალურ-ზნეობრივი პრინციპების ღალატი. მეორეც: თუ გადავავლებთ თვალს დღევანდელი პარლამენტის საქმიანობას, დავინახავთ, რომ მან ვერ შეუშალა ხელი შევარდნაძის ვერც ერთ ანტიეროვნულ ნაბიჯს - ვერც დსთ-ში საქართველოს შესვლას, ვერც რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგებას საქართველოში 25 წლით, ვერც აფხაზეთის დაკარგვას... ყველა შემთხვევაში, პარლამენტი ადასტურებდა იმ აზრს, რომ იგი არის მხოლოდ ფორმალური წარმონაქმნი. ისეთ პირობებში, როცა შევარდნაძე ერთპიროვნულად განაგებს სიტუაციას, პარლამენტში დეპუტატთა წარმომადგენლობითი სპექტრიც წინასწარვეა შეთანხმებული და ნებადართული. ასეთი პარლამენტი უმოქმედობისთვისაა განწირული. იგივე სურათი გვექნება მომავალი არჩევნების ჩატარების შემთხვევაშიც. მეტიც, მოხდება ეროვნულ ძალთა გასვრა, მათი ჩათრევა ფინანსურ თუ სხვა სახის უკანონო მაქინაციებში და შედეგად, მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაცია.

# მოქალაქეთა კავშირის წინასაარჩევნო კამპანია სკანდალით დაიწყო

21 სექტემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ინფორმაცია მივიდა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მოქალაქეთა კავშირი არიგებს ჰუმანიტარულ დახმარებას, რაც ეწინააღმდეგება საარჩევნო კანონის 47-ე მუხლს, რომლის თანახმად - "არჩევნებში მონაწილე პარტიებს, ბლოკებსა და პარლამენტის წევრობის კანდიდატებს, მათ რწმუნებულებსა და ნდობით აღჭურვილ პირებს ეკრძალებათ მატერიალური და სასაქონლო ფასეულობებით ამომრჩეველთა მიმხრობა, ასეთ შემთხვევაში არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიების, ბლოკების, პარლამენტის წევრობის კანდიდატის რეგისტრაცია უქმდება."

ფაქტის შესამოწმებლად საარჩევნო კომისიის რამდენიმე წევრი, მათ შორის ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და მერაბ კოსტავას საზოგადოების წარმომადგენლები, მივიდნენ ლერმონტოვის ქ. №8-ში არსებულ მოქალაქეთა კავშირის ჰუმანიტარული და სოციალური დახმარების ოფისში და დააფიქსირეს დარღვევის ფაქტები, რაზეც შედგა სათანადოდ გაფორმებული აქტი.

ამ აქტის საფუძველზე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის 22 სექტემბრის სხდომაზე დაისვა მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების დღის წესრიგში შეტანის საკითხი, რასაც ხმა მისცა კომისიის 22 წევრმა, ამგვარად, 5 ხმის უპირატესობით, ეს საკითხი განხილული უნდა ყოფილიყო, მაგრამ კენჭისყრის წინ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ივანე კილურაძემ გამოაცხადა თავისი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, რამაც გამოიწვია სხდომის ჩაშლა.

სკანდალი გახმაურდა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საინფორმაციო საშუალებებს არაფერი გამოუცხადებიათ ამ ფაქტის ირგვლივ. ინფორმაცია უცხოეთის საინფორმაციო სამსახურების საშუალებით გახდა ცნობილი.

მოქალაქეთა კავშირი იძულებული გახდა ახსნა-განმარტება მიეცა ამ ფაქტთან დაკავშირებით. 25 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ზ.ჟვანიამ განაცხადა, რომ კავშირი არ ცნობს თავს დამნაშავად, იგი არ არღვევდა კანონის მოთხოვნებს, ხოლო მოქალაქეები - ტონოიანი, ანტონიანი და სტაფილოვი, რომლებიც ადასტურებდნენ მოქალაქეთა კავშირის მიერ ჰუმანიტარული დახმარების დარიგების ფაქტს, შეცდომაში შეიყვანეს და ხელი უტექსტო ფურცლებზე მოაწერინეს, რომ მათ მიმართ მოქალაქეთა კავშირის სასარგებლოდ არავითარ აგიტაციას ადგილი არ ჰქონია. თავისი სიტყვების განსამტკიცებლად, მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ჰუმანიტარული დახმარების პროდუქტი, რომელიც რიგდებოდა მათ მიერ, ეკუთვნის არა მოქალაქეთა კავშირს, არამედ დანიის კათოლიკური მისიის ჰუმანიტარულ ორგანიზაციას "კარიტასს".

როგორც ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარემ, თ. ჩხეიძემ აღნიშნა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომ მოქალაქეთა კავშირი სხვის სასაქონლო ღირებულებას არიგებს, მთავარია, რომ ეს ხდებოდა მოქალაქეთა კავშირის სახელით. ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში ამგვარ დარღვევას პარტიისთვის რეგისტრაციის გაუქმება მოჰყვებოდა. მაგრამ საქართველოში, სადაც გამეფებულია უკანონობა, არ არსებობს იმედი, რომ სიმართლე გაიმარჯვებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოვლენები საქართველოს ბოლოდროინდელი პოლიტიკური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი უტიფრობით განვითარდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უკან წაიღო თავისი განცხადება, ხოლო მოქალაქეთა კავშირის საკითხი კვლავ ღიად დარჩა; მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ შევარდნაძის პარტიას არავინ გაუუქმებს რეგისტრაციას და რა დარღვევებსაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი, იგი აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში.

## ს ა მ ძ ი მ ა რ ი

ავჭალის კოლონიაში მყოფი პოლიტპატიმრები ულრმესი ტკივილით განვიცდით უკანონო სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს ჩვენი თანამებრძოლის, ნუგზარ აბრამიშვილის (წეწეს) გარდაცვალებას.

კიდევ ერთი ჭეშმარიტად გულანთებული მამულიშვილი შეიწირა დღევანდელმა უკანონო, სასტიკმა რეჟიმმა. ვუცხადებთ სამძიმარს ნუგზარის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

**პოლიტპატიმრები:**

**ს. კუპრავა, გ.ჯოჯიშვილი, ო. ლულუნიშვილი, მ. აფციაური, გ. გელბახიანი, ზ. გოგიჩაიშვილი, ვ. დომუხოვსკი, გ. კალმახელიძე, ზ. რაფავა, გ. სალთხუციშვილი, თ. კაპანაძე, თ. წიკლაური, ჯ. ტალაშვილი, მ. ჯინჭარაძე, გ.ტოგონიძე, ნ. მჭედლიძე, ვ. შურღაია, თ. ახობაძე.**

*თენგიზ კიტოვანი:*

# "დოკვაძე და გელბახიანი მკვლელები არ არიან"

გაზეთ "რეზონანსის" წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის სანდრო კავსაძის პრესკონფერენციის ანგარიში. მასში აღნიშნული იყო, რომ კიტოვანმა და ზეიკიძემ ცალ-ცალკე განაცხადეს დოკვაძისა და გელბახიანის უდანაშაულობის შესახებ. ამის შემდეგ კავსაძემ თქვა, რომ ასეთ განცხადებებს არ ენდობა, თუმცა, მათი განხილვა შეიძლება. ამ პუბლიკაციის შემდეგ "რეზონანსმა" მიიღო წერილი:

გაზეთ "რეზონანსის" რედაქციას და ბატონ სანდრო კავსაძეს

ბატონო სანდრო! წავიკითხე თქვენი გამოთქმული აზრი დოკვაძისა და გელბახიანის მიმართ. მე მინდა მოგახსენოთ, ბატონო სანდრო, რომ წავიდა ის დრო, როცა კომუნისტები თავიანთ სურვილებს ანხორციელებდნენ მოსამართლის მეშვეობით და თქვენ გახსოვთ მოსამართლე გერსამიას განაჩენი. ეს იყო დაქირავებული მკვლელი კომუნისტების კანონით ხელში. ეხლა მოვალეობას ასრულებს მოსამართლე დოლიძე.

მე მივწერე პროკურატურას, რომ დოკვაძე და გელბახიანი არ არიან მკვლელები ჩემი აზრი უნდა გაეზიარებინათ ჯერ როგორც დეპუტატის, მერე როგორც მაშინდელი სადაზვერვო მონაცემებით, რომ შემსრულებლები სხვა ადამიანები იყვნენ და არა ისინი, ვისაც ბატონმა დოლიძემ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა და იგი პასუხს აგებს მის გამოტანილ სასჯელზე.

მე ვალდებული ვარ ჩემი ერის წინაშე განვაცხადო, რომ გელბახიანი და დოკვაძე არ არიან მკვლელები და ეს იცოდეს საზოგადოებამ და არა ბოღმისგან გასიებულმა ზოგიერთმა, ვისაც სისხლი სწყურია და განსაკუთრებული ავადმყოფობით არის შეპყრობილი. გვეყოფა, ისედაც ამდენი სისულელეები ჩავიდინეთ და რამდენი უდანაშაულო ხალხი კედელზე ავაყუდეთ. ახლა დროა, რომ ყველამ სწორედ გამოვიხედოთ თვალებიდან და ბატონ დოლიძეს ვთხოვ თავის შთამომავლობას არ დაუტოვოს მკვლელი მამის სახელი, როგორიც დატოვა გერსამიამ.

პატივისცემით,

*თენგიზ კიტოვანი, 1995 წელი*
*(სტილი დაცულია)*
*გაზ. "რეზონანსი", N83 (358), 10-11 აგვისტო*

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები წერილები წერილები წერილები წერილები წერილები

# მიზანს ერთიანობით მივაღწევთ

არ შემიძლია, დღევანდელობის ყველაზე პრობლემურ საკითხზე გულისტკივილით არ გავესაუბრო საქართველოს მოსახლეობას და ეროვნული ძალების იმ ნაწილს, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადაუწყვეტია.

ხალხი დაიბნა. არ იცის, როგორ მოიქცეს. ეროვნული ძალების ერთი ნაწილი ითხოვს აქტიურ ბოიკოტს, მეორე პასიურს, მესამე კი არჩევნებში მონაწილეობას.

ერთ ნაწილს კარგად ესმის აქტიური ბოიკოტის აუცილებლობა და უპირატესობა, მაგრამ რიგი სირთულეების გამო, განუხორციელებლად მიაჩნია. ამიტომ, თავად კენჭს არ იყრის, მაგრამ ხელს შეუწყობს არჩევნებში მონაწილე ეროვნულ ძალებს, მივა მათთვის ხმის მისაცემად იმ იმედით, რომ პარლამენტში ხუთი თუ ოცდაათი ადგილის მოპოვებით შესაძლებელს გახდის შევარდნაძისა და მისი ბნელი ძალების "მოგერიებას".

ზოგიერთი, სამწუხაროდ, მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენისთვის იღწვის. გასაგებია, თუმცა, არა მისაღები - ამ ძალებს არჩევნებისკენ უბიძგა ქვეყანაში დასადგურებულმა ძალადობამ, ნიჰილიზმმა, საკუთარი უსუსურობის შეგრძნებამ; აგრეთვე, ეროვნული ძალების იმ ნაწილმა, რომელმაც გაათითოკაცა, გახლიჩა და დაქსაქსა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ხელი შეუწყო პარალელური ორგანიზაციების შექმნას, დაიწყო უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და ეროვნული მოძრაობის აქტიურ წევრთა დისკრედიტაცია.

მეორე ნაწილი თავად არ იყრის კენჭს, არც ხმის მისაცემად მიდის, მაგრამ ხელს არ უშლის ეროვნული ძალების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც არჩევნებში კენჭს იყრიან; აცხადებს პასიურ ბოიკოტს და ფიქრობს, ამით "ზნეობრივად სუფთა" დარჩება.

ორივე პოზიცია მიუღებელია არამარტო აქტიური ბოიკოტის მომხრეთათვის, არამედ, საერთოდ, ეროვნული მოძრაობისთვის, რადგან თავისუფლებისთვის ბრძოლა ვერ ეგუება კომპრომისს. აქ მთავარია, იდეისადმი ურყევი რწმენა და ერთგულება, მის ხორცშესასხმელად ენერგიის დაუზოგავად გაცემის უნარი და არა წინააღმდეგობების დაუძლევლობის შიში.

აღმაშფოთებელი და მიუღებელია ისიც, რომ ეროვნული ძალების რიგი წარმომადგენლები არჩევნებში თავიანთ მონაწილეობას ზვიად გამსახურდიას კომუნისტურ არჩევნებში მონაწილეობით ამართლებენ. ეს სიცრუეა, ხალხის მოტყუებისა და დაბნევის მცდელობაა. არა მგონია, არჩევნების მომხრეებს არ ახსოვდეთ ზვიად გამსახურდიას მიერ გაკვალული გზა. და თუ დაავიწყდათ, ვეცდები შევახსენო. ზვიად გამსახურდიას ძალისხმევის შედეგად განხორციელებული მშვიდობიანი საერთო-სახალხო დაუმორჩილებლობით, გუმბარიძის ხელისუფლება იძულებული გახდა შეექმნა საარჩევნო კომისია, რომელმაც შეიმუშავა დემოკრატიული საარჩევნო კანონი. პარტიებმა რეგისტრაცია გაიარეს არა სახელმწიფო დაქვემდებარების, კომუნისტების იუსტიციის სამინისტროში (როგორც დღეს ხდება), არამედ საარჩევნო კომისიაში. სწორედ ამ საარჩევნო კომისიამ და არა კომუნისტურმა ხელისუფლებამ დანიშნა საყოველთაო მრავალპარტიული არჩევნები. არ შეიძლება დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის გაიგივება მაშინდელ სიტუაციასთან. ჩვენ ზვიად გამსახურდიას გზა კვლავაც გასავლელი გვაქვს. უნდა ჩამოვყალიბდეთ მობილურ ძალად, რაც ჩვენი მიზნების განხორციელებისა და გამარჯვების ერთადერთი საწინდარია.

ერთი და იგივე შეცდომის ორჯერ დაშვება დამღუპველი გახდება საქართველოსთვის.

გავიხსენოთ - 11 ოქტომბრის "იმედის არჩევნებმა" ვერ მოუტანა ხალხს სიმშვიდე, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქვეყანა ქაოსიდან ვერ გამოიყვანა; პირიქით, მხოლოდ ნგრევა გამოიწვია. ბოლო ოთხი წლის მანძილზე უკანონო ხელისუფლებამ სულიერად დათრგუნა და ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა ქართველი ერი; ხელოვნურად მოშალა სახელმწიფო სტრუქტურა; შემოიღო კუპონი, რამაც საქართველოს ეკონომიკა ნულამდე დაიყვანა. იგივე მოხდება ლარის შემოღებითაც, რაშიც, სულ ცოტა, ორ თვეში დავრწმუნდებით; უკიდურესად გაალატაკა მოსახლეობა; გაძარცვა და გაყიდა ეროვნული სიმდიდრე, დააკანონა ნარკობიზნესი, რეკეტი, მაფიოზური და კრიმინალური ბანდების თარეში, პოლიტიკური ტერორი; ხელყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა; მოსახლეობა მშობლიურ მიწაზე ლტოლვილად აქცია; ხელი შეუწყო ინტელექტუალური ძალების ქვეყნიდან გადინებას; "ესენგეში" შესვლით ქვეყანა დააბრუნა პოსტკომუნისტურ სივრცეში; 25 წლით გაუხანგრძლივა რუსეთის ჯარისა და სამხედრო ბაზებს საქართველოში ყოფნის ვადები.

სულ რამოდენიმე დღის წინ საქართველოს "საკეთილდღეოდ" ჩამობრძანებულმა ჩერნომირდინმა და ქვეყნის ბედით "შეშფოთებულმა" შევარდნაძემ საბოლოოდ დააკანონეს და დაამკვიდრეს საქართველოში რუსეთის ჯარი და სამხედრო ბაზები; შეიმუშავეს აფხაზეთის ეტაპობრივად "დაბრუნების" მორიგი მზაკვრული გეგმა, რომელიც ვითომ ჯერ მხოლოდ გალის დაბრუნებას ითვალისწინებს, ხოლო არჩევნების ჩატარების შემდეგ კი, დანარჩენი ტერიტორიების ეტაპ-ეტაპ, წლების მანძილზე დაბრუნებას.

წინასაარჩევნო პერიოდში ჩერნომირდინის ჩამოსვლა, მოსახლეობის მორიგი ცრუ დაიმედება აფხაზეთის დაბრუნებით, ოთხი წლის თარეშის შემდეგ მცდელობა იმ მხედრიონის "ალაგმვისა", რომლის წყალობითაც თავი დაიმკვიდრა შევარდნაძემ, მხოლოდ მოსახლეობაში მისი ნულამდე დასული ავტორიტეტის ამაღლებას და ამომრჩეველთა დიდი რაოდენობით არჩევნებში მიზიდვას ემსახურება.

თუ აქამდე შევარდნაძე და მისი რეჟიმი უკანონო იყო, რაც მსოფლიომ კარგად იცოდა და მაინც ცნობდა მას, ახლა უკვე თვალს აღარ დახუჭავს. შევარდნაძე მსოფლიოსგან დახმარებას ვეღარ მიიღებს, თუ ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა არ მისცა ხმა.

იმელის ეზოში გათამაშებული სპექტაკლის შემდეგ მიტინგზე გამოსულმა შევარდნაძემ თავად ბრძანა, რომ ახლა მხოლოდ ხალხის (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 50%+1) მისვლა სჭირდება. გასაგებია, რომ მას სურს არჩევნებს ნამდვილი, პატიოსანი სახე მიეცეს და მოსახლეობის უმეტესი ნაწილით არჩეული კანონიერი ხელისუფალი გახდეს. ამდენად, ხალხის საარჩევნო უბნებში მისვლაზეა დამოკიდებული შევარდნაძის საქართველოში ყოფნა-არყოფნის საკითხი. შევარდნაძეს არ აწყობს ბოიკოტი. მას სჭირდება კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების მონაწილეობა არჩევნებში (თუნდაც გვარის გამო), რადგან ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის მიზიდვას არჩევნებში, რაც მისი ლეგიტიმაციის ერთადერთი გარანტიაა.

შევარდნაძისა და მისი რეჟიმის ლეგიტიმაციით (პარლამენტში მოხვედრილი ეროვნული ძალების ხუთი პროცენტი ვერას გახდება), თაროზე შემოდებული საქართველოს ფედერალური მოწყობის პროექტი რეალობად იქცევა. ეს უფრო საშიში ნაღმია 1921 წელთან შედარებით. თუ ბოლშევიკთა გადაწყვეტილებით აფხაზეთი და სამაჩაბლო მხოლოდ ავტონომიური უფლებებით სარგებლობდნენ, რაც, როგორც კი საშუალება მიეცათ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასაშლელად გამოიყენეს, ფედერალური მოწყობის პრინციპით ისინი ყალიბდებიან დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულად, რასაც, ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, რა მოჰყვება. ჩვენი უგუნურობით და უპრინციპობით ხელს ვუწყობთ საქართველოს დაშლას.

არჩევნების მომხრე ეროვნულ ძალებს და საქართველოს მოსახლეობას კარგად უნდა ესმოდეთ, რომ მაშინ, როცა დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არ ვრცელდება ჩვენი იურისდიქცია, 5 ნოემბერს საარჩევნო უბნებში მისვლით (არა აქვს მნიშვნელობა, ხმას მისცემენ, თუ არ მისცემენ), აფხაზეთსა და სამაჩაბლოს სამუდამოდ ტოვებენ საქართველოს ფარგლებს გარეთ, რაზედაც პასუხისმგებელნი იქნებიან ისტორიისა და მომავალი თაობის წინაშე.

აქტიური ბოიკოტით, ე.ი. უბნებში არმისვლით, არჩევნები ჩაიშლება. შევარდნაძე ბოლომდე გაშიშვლდება და გაკოტრდება. გაკოტრებული შევარდნაძე არც უცხოეთს სჭირდება და არც მით უმეტეს ქართველ ერს.

ბოიკოტის განხორციელების შემთხვევაში, დავიბრუნებთ შელახულ ღირსებას, დავამტკიცებთ ჩვენს ურყევ ნებას ვიყოთ თავისუფალნი; რომ ქართველი ხალხი არსოდეს შეეგუება მონობას და რომ არ არსებობს ძალა, რომელიც მის დაჩოქებას შეძლებს. ეს არ არის ლოზუნგი. ეს რეალობაა, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც ახლა გვეძლევა. ნუ გავუშვებთ ამ შანსს, ჩვენი უმოქმედობით და უპრინციპობით. ეროვნული მოძრაობა არასდროს ჩაკვდება საქართველოში. ეს მოძრაობა ჩვენით არ დაწყებულა და არც ჩვენით მთავრდება. ვიმეორებ - ჩვენი უმოქმედობით მხოლოდ გავახანგრძლივებთ ბრძოლას თავისუფლებისთვის. საპარლამენტო ფსევდოოპოზიციას ჭკუა რომ ჰქონდეს, სამშობლოს გადარჩენის მიზნით თუ არა, საკუთარი თავის გადასარჩენად მაინც აქტიურ ბოიკოტს გამოუცხადებდა არჩევნებს.

თუ შევარდნაძემ აქტიური ბოიკოტის განხორციელების რეალური საშიშროება დაინახა, არაა გამორიცხული, თავად ჩაშალოს არჩევნები.

მცდარი აზრია, რომ შევარდნაძის წასვლას არეულობა მოჰყვება: რაც ახლა გვჭირს, ამაზე უარესი არაფერი მოგვივა. იმ შემთხვევაში კი, თუ იგი კანონიერი ხელისუფალი გახდა, მართლაც დავიღუპებით. ქართველ ხალხს შესწევს უნარი სხვათა დახმარების გარეშე მართოს ქვეყანა, მუხლჩაუხრელი შრომით აშენოს მომავალი.

აქტიური ბოიკოტის განხორციელება სავსებით რეალურია, რადგან ერს თავისი შინაგანი ძალა და ენერგია ჯერ ბოლომდე არ გაუცია. მჯერა, ყველა გონს მოეგება და ერთიანი ძალით მიზანსაც მივაღწევთ.

**ნონა დოჭვირი**

## საქართველოს და ჩეჩნეთის არჩევნები განამტკიცებს რუსეთის ძალაუფლებას კავკასიაში

# იუდას მეთოდები

საინტერესოა, რომ რუსების, ანუ კომუნისტების მეთოდები უკვე დიდი ხანია უცვლელი რჩება. ჩვენი ხელისუფალნი კი ამტკიცებენ, რომ მათ არ შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ თუ რა მოხდება - ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ სერიოზულად არასდროს მიდგომიან ამ საკითხებს არც სტრატეგიის და არც ტაქტიკის თვალსაზრისით. საკვირველია, მაგრამ რუსების სხვადასხვაგვარი ხრიკები კვლავაც ატყუებს დასავლეთს.

მაგალითად, საქართველოში ერთ მშვენიერ დღეს მოხდა სრულიად მარტივი რამ. მოსახლეობამ პრეზიდენტად აირჩია ზვიად გამსახურდია. პირველივე წუთებიდან სავსებით ნათელი იყო, რომ ეს არ მოეწონებოდათ რუსებს, რადგან გამსახურდია მარტო კომუნისტების წინააღმდეგ კი არ იბრძოდა, თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობასაც იცავდა. რაც შემდეგ მოხდა, ტიპურია.

რუსულმა არმიამ დაიპყრო საქართველო, რისთვისაც გამოიყენა ქართულ ფორმაში გადაცმული დაქირავებული ჯარისკაცები. ამ არმიას ამარაგებდა მოღალატე, ყოფილი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე. ეს ადამიანი, რუსული კომუნიზმის ყველაზე შავბნელ ხანაში სუკ-ის თავმჯდომარედ მუშაობისას, განთქმული იყო თავისი სისასტიკით. შევარდნაძე გამოცხადდა დემოკრატად და განმათავისუფლებლად, რომელმაც "დიქტატორის" დამხობის შემდეგ ჩამოაყალიბა მთავრობა.

ასე დაამხეს გამსახურდიას ხელისუფლება. მოგვიანებით გამოაცხადეს, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა თავი მოიკლა, თუმცა, ეს სინამდვილეში არავის სჯეროდა. ნიშანდობლივია, რომ ბევრი რუსიც კი აშკარად ამბობს, რომ გამსახურდია მოკლეს. შემდგომ შევარდნაძემ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელმაც გააძლიერა რუსების ბატონობა საქართველოში, წაართვა ძალაუფლება მოსახლეობას და ხელისუფალთ ხელ-ფეხი გაუხსნა მოსკოვის სურვილების შესასრულებლად. მაგრამ დასავლეთმა მიიღო რუსების ვერსია შევარდნაძის დემოკრატად გარდაქმნის თაობაზე. გარდა ამისა, კანონიერად ცნო არჩევნები, რომელშიც ოპოზიციას მონაწილეობის მიღების მინიმალური საშუალებაც კი არ ჰქონდა.

შევარდნაძესთან ერთად ხელისუფლებაში მოვიდა ქვეყნის ყველა კრიმინალური ელემენტი. ეს დაადასტურა CIA-მაც (აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო - რედ.), რასაც მოჰყვა საქართველოში მისი წარმომადგენლის მკვლელობა. შევარდნაძემ განაცხადა, რომ ეს მკვლელობა იყო ბარში ჩხუბის შედეგი. საქართველოში ეს ვერსიაც არავინ დაიჯერა. მხოლოდ დასავლელმა პარტნიორებმა მიიღეს ამ მკვლელობის ოფიციალური ვერსია, ყოველგვარი გადამოწმების გარეშე.

ამჟამად მსგავსი რამ ხდება ჩეჩნეთში. აქ რუსებმა, ოღონდ ამჟამად უფრო აშკარად, ვიდრე საქართველოში, იარაღით შეუტიეს ქვეყანას და დაბომბეს მისი ქალაქები. ჩეჩენი ხალხის გმირულმა წინააღმდეგობამ დაანახვა მსოფლიოს, თუ ვინ არის მართალი. მიუხედავად ამისა, დასავლეთი საკმარის ყურადღებას არ უთმობს იმას, რომ აქ ნამდვილი გენოციდი განხორციელდა. რუსებს სურთ გაანადგურონ მცირერიცხოვანი და მამაცი ჩეჩენი ხალხი. ამისთვის მათ, მაგალითად, გამოიყენეს ვაკუუმის ბომბებიც კი, რომელიც გროზნოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ უბნებსა და ჩეჩნურ სოფლებში ჩამოყარეს.

დაბოლოს, რუსები უსირცხვილოდ აცხადებენ, რომ გენერალი დუდაევი დიქტატორია. ეს უტიფარი ტყუილია, რომელიც დასავლეთსაც აწყობს. დუდაევი არჩეულ იქნა მოსახლეობის მიერ. თუკი ვინმეა დემოკრატიულად კანონიერი ჩეჩნეთში, ეს გენერალი დუდაევია.

## "დასავლეთი კვლავ თავს იტყუებს..." - ასე თვლის ბატონი ოტტო ფონ ჰაბსბურგი

მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა, რუსებმა გადაწყვიტეს იქ ვითომდა დემოკრატიული მთავრობის ჩამოყალიბება. ამ მთავრობის სათავეშია ვინმე სალამბეკ ჰაჯიევი, რომელიც უტიფრად აცხადებს, რომ მას მოსახლეობის დიდი ნაწილი ემხრობა. ეს ყოფილი კომუნისტი დაახლოებულია მეამბოხე ხაზბულატოვთან და ვალდებულია შეასრულოს მოსკოვის ბრძანებები. მათ გვერდითაა უმარ ავტურხანოვიც. სამივეს ერთი და იგივე სტატუსი აქვს - მოსკოვის სამსახურში ჩამდგარი მოღალატის.

ნათელია, როგორი იქნება მოვლენათა შემდგომი განვითარება. ჩატარდება ვითომდაც დემოკრატიული არჩევნები, სადაც დამხობილი გენერლის, ჯოჰარ დუდაევის კანდიდატურის დასახელებაც კი შეუძლებელი იქნება. სალამბეკ ჰაჯიევის მომხრეები მიიღებენ ხმების უმრავლესობას ისევე, როგორც ეს მოხდა საქართველოში მოღალატე შევარდნაძისტების შემთხვევაში. შემდეგ დაიდება ხელშეკრულება რუსეთსა და რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ჩეჩნეთის რესპუბლიკას შორის, რაც ბოლოს მოუღებს ჩეჩნეთის თავისუფლებას. არაა გამორიცხული, რომ შემდგომში ჩატარდეს რეფერენდუმი რუსული ჯარის იქ ყოფნის პირობების შესახებ და, ბუნებრივია, პასუხიც რუსებისთვის სასურველი იქნება.

წინასწარვე ცნობილია, რომ დასავლეთი ამას "გადაყლაპავს". ბოლოს და ბოლოს, არავის უნდა თავად გადაიქცეს სამიზნედ. ისევ და ისევ გამოყენებული იქნება არგუმენტი, რომ დაუშვებელია ენერგიული ზომების მიღება, რადგან ამან შეიძლება რუსეთში ელცინზე უარესი ადამიანის მოსვლა გამოიწვიოს.

ცხადზე ცხადია, კვლავ ამ ბანალურ ტრიუკს გამოიყენებენ, თუმცა მისი ნამდვილი ბუნება უკვე ბევრჯერ გამოაშკარავდა.

სამწუხაროდ, შეიმჩნევა, რომ რუსეთთან მიმართებაში დასავლეთს არავინ ატყუებს - ის თვითონ იტყუებს თავს. იგონებენ სხვადასხვა ტიპის ბოდიშებს, რათა არაფერი ილონონ, ან დაეხმარონ კრემლის მრისხანე ბატონებს. დასასრულიც ადვილი წარმოსადგენია: რაც მეტს დაუთმობენ დიქტატორებს, მით უფრო ურცხვები გახდებიან ისინი.

იგივე მოხდება რუსეთში. რაც დრო გავა, უფრო გაძნელდება ელცინის იმიჯის გადარჩენა. შესაძლოა, იგი კიდევ დატოვონ თავის თანამდებობაზე, თუმცა, ამჟამად მას არაფერი აქვს სათქმელი. ეს არის მარიონეტი, რომელსაც მისი ნამდვილი ბატონები - ექსტრემისტი მილიტარისტები, ნაციონალ-ბოლშევიკები და სუკ-ი - თავიანთი ინტერესების შესაბამისად ათამაშებენ.

სიტუაცია რუსეთში მეტად ვეღარ გაუარესდება, რადგან "კარგი" ელცინიც და "ცუდი" ჟირინოვსკიც", ორივე, ერთი და იგივეს ემსახურება - კრემლის დღევანდელი რეალური მბრძანებლების ინტერესების ეფექტურად განხორციელებას.

***ოტტო ფონ ჰაბსბურგი***

***"ABC", N34, 15.02.95***

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანტისაარჩევნო ტრიბუნა

**გიორგი მრევლიშვილი, პროფესორი, თსუ-ს მაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრის გამგე, საუნივერსიტეტო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.**



# კომუნისტებმა მონანიება არ იციან

კორესპონდენტი: - ბატონო გიორგი, წინასაარჩევნო კამპანია კარგა ხანია დაიწყო. საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ამ არჩევნებისადმი, მოგეხსენებათ, არაერთგვაროვანია. საინტერესოა თქვენი დამოკიდებულება ყოველივე ამისადმი?

გიორგი მრევლიშვილი: - ჩემის აზრით, დაგეგმილი არჩევნები იქნება უკანონო ფარსი. იმ პოლიტიკური პარტიების მონაწილეობა არჩევნებში, რომლებიც წამყვან პარტიებად ითვლებიან, ნონსენსია, რადგან ის ნგრევა, ის ძარცვა და განუკითხაობა, რომლის მოწმენიც ჩვენ ვართ ამ ოთხი წლის განმავლობაში, შედეგია სწორედ ამ პარტიების ასე აქტიურად მონაწილეობისა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში (უფრო სწორად, ქვეყნის გაუბედურებაში). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სახეზეა კრიმინალურ-კომუნისტური მაფიოზური სტრუქტურების კავშირი. საოცარია, რომ ადამიანები, რომლებსაც ჩადენილი აქვთ სისხლის სამართლის დანაშაული, პრეტენზიას აცხადებენ ქვეყნის მართვაზე. არც ერთი ქვეყანა ამას არ დაუშვებს. მათი მონაწილეობა არჩევნებში ამომრჩევლის ზნეობრივი და მორალური სახის შეურაცხმყოფელია. აქედან გამომდინარე, ყოვლად დაუშვებელია საარჩევნო ბიულეტენში ჩაიწეროს ისეთი პრეტენდენტი, რომლის მთელი მოღვაწეობა მიმართული იყო ერის ინტერესების წინააღმდეგ, მიმართული იყო იქითკენ, რომ როგორმე ამოიძირკვოს ამ ერის სახსენებელიც კი.

ჩამოვთვალოთ, რა დანაშაულები ჩაიდინა არსებულმა რეჟიმმა: კანონიერი ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით დამხობის ორგანიზება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ომი, რომელმაც ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლე იმსხვერპლა და ასიათასობით თანამემამულე ლტოლვილი გახადა საკუთარ ქვეყანაში.

მახსოვს, ერთ-ერთ შეხვედრაზე პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ პირდაპირ მიმართა ახალგაზრდობას: “მე ვგრძნობ, შვილებო, რომ უნდათ თქვენ გამოგიყენონ საზარბაზნე ხორცად!“ საბოლოო ჯამში ასეც მოხდა.

თუნდაც ეს ბოლო ნაბიჯები... საბოლოოდ დაფიქსირება იმისა, რომ საქართველოში უნდა დაკანონდეს უცხო ქვეყნის ჯარები - გადაწყვეტილება, რომელიც აბსოლუტურად გამორიცხავს ყოველგვარ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას. ეს ხომ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებზე გადავა; სრული უკონტროლობა იმ ტერიტორიის საზღვრებისა, რომელსაც ჯერ კიდევ საქართველო ჰქვია; მოძალება უცხო ტომებისა... აი, ის უმძიმესი დანაშაულები (და კიდევ ბევრი სხვა, ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს), რაც შევარდნაძემ და მისმა ხელისუფლებამ ჩაიდინეს ერის წინაშე. ასეთ ხელისუფლებას, რასაკვირველია, უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს და მით უმეტეს დანიშნოს არჩევნები. ეს ხელისუფლება უნდა გადადგეს.

მაგრამ უბედურება ისაა და თავიდანვეც ის იყო უბედურება, რომ საქართველო ისევ მარტო დარჩა, - გამკითხავი არავინაა... მსოფლიო მასშტაბით. ისევე, როგორც ჩვენს თვალწინ ყოვლად წარმოუდგენელი უზნეობა და დანაშაული ხდება - დიდი ერი ანადგურებს მცირე ერს (მხედველობაში მყავს ჩეჩნები) თანამედროვე იარაღის მთელი არსენალის გამოყენებით (ბირთვულის გარდა) და მსოფლიო პროტესტს არ აცხადებს ამ ბარბაროსობის აღსაკვეთად. ამ ფონზე შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ საქართველოც განწირულია, რადგან საერთაშორისო სამართლის იურიდიული საფუძვლები მორღვეულია, არ არსებობს ზნეობრივი ბარიერები მთელს მსოფლიო პოლიტიკაში. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი ერის ასე გაუბედურება მოახერხეს. ხალხი ისე დააბეჩავეს, რომ სხვა პრობლემებზე ფიქრის უნარი წაართვეს. ერთადერთი, რაც დაუტოვეს, არის ის, რომ ქართველობამ იზრუნოს მხოლოდ მატერიალურ მხარეზე, ანუ შიმშილით და სიცივით სიკვდილისგან თავის გადარჩენაზე. და ეს ხდება მიზანმიმართულად, რათა ხალხის ბეჩავი მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოიყენონ. შეიძლება ერი ასე გაწირო მაშინ, როდესაც ხსნის გზები ნამდვილად არის?

**კორ. - ბატონო გიორგი, ცხადია, ქვეყანა და ერი თითქოს გაწირულია, მაგრამ თქვენ ხსნის გზები ახსენეთ. რაში ხედავთ ხსნას, გამოსავალს ამ მდგომარეობიდან?**

გ.მ. - გამოსავალი ერთადერთია - უნდა მოვიდეს ეროვნული მთავრობა და არ უნდა განელდეს სწრაფვა თავისუფლებისკენ, დამოუკიდებლობისკენ. პირველ რიგში ეს გადაარჩენს საქართველოს, ამის შემდეგ, შეიძლება, სხვა საშუალებებზედაც ვილაპარაკოთ. აი, თუნდაც ნავთობის გზის შესახებ. ცხადია, ნავთობსადენის გაყვანის პრობლემა უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანაა. სხვათა შორის, საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას თანამედროვე პირობებში პირველად პრეზიდენტმა გაუსვა ხაზი, მაგრამ მე როგორც ვიცი და მახსოვს, იგი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ისეთი ტიპის “დერეფნისა“, როგორსაც არსებული ხელისუფლება გვთავაზობს. რას ნიშნავს “დერეფანი“? წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ მშვენივრად მოვლილი ეზო-ბაღნარი და გთხოვეს, რომ მთელმა ქალაქმა იაროს ამ ეზოზე, დაუშვათ, პლაჟისკენ. ვთქვათ, რაღაც საფასურად მიეცით “ქალაქელებს“ ამის უფლება. როგორ ფიქრობთ, შეგრჩებათ ეს ეზო? რა თქმა უნდა, არა! ყვავილნარი გადაიქცევა დაბინძურებულ შარაგზად, ავადმყოფობისა და გახრწნის კერად. აი, ასეთივე საშინელი იქნება ის “დერეფანი“, რომლის ფუნქციაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველომ უნდა შეასრულოს.

ვერანაირი შემოსავალი ვერ გადაფარავს იმ დიდ კოშმარს, რაც პრიმიტივების მიერ დაპროექტებული დერეფნის ამოქმედებას მოჰყვება. ეს ხომ ერის განადგურების ხარჯზე გამდიდრება გამოვა.

ახლა, რაც შეეხება ნავთობსადენს. რასაკვირველია, ნებისმიერი ქვეყნისთვის ეს მომგებიანი საქმეა. თუმცა, ამასაც სდევს თან ეკოლოგიური საშიშროებანი. ნავთობის გადმოღვრა კავკასიის ცენტრში უბრალო რამ არ გეგონოთ. თუ ყველაფერი შესრულდება წესიერად და დაცული იქნება საერთაშორისო ნორმები, ცხადია, ეს მეტისმეტად წაადგება ქვეყნის ეკონომიკას. მაგრამ ვეჭვობ, რომ რუსეთი მხოლოდ ნაწილობრივ მისცემს ამის გაკეთების საშუალებას საქართველოს.

მინდა ისევ არჩევნებს დავუბრუნდე. ჯერ კიდევ მაშინ, იმ საშინელ დღეებში, 1991 წ. ნოემბრიდან დაწყებული, უფრო ადრეც, როდესაც ყველანი მივხვდით, რომ იქნება ძალიან დიდი შემოტევა, შეიქმნა საუნივერსიტეტო საზოგადოება, რომელიც დღესაც განაგრძობს მუშაობას. გვეკითხებიან, როგორია საზოგადოების აზრი არჩევნებთან დაკავშირებით. მინდა ვთქვა, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოებას თავისი აზრი აქვს, მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, სხვის აზრს პატივს ვცემთ და, ცხადია, ვერ “შევუტევთ“ ისე, რომ ვინმეს ვათქმევინოთ, ელემენტარული ზრდილობა დავუკარგავთო. ნებით აწეული ხელის ძალით დაჭრა ჩემი პრინციპის საწინააღმდეგოა. ჩემთვის მაგალითია ბატონი ზვიადის ის ბრწყინვალე სიტყვა, რომლითაც მან გზაგასაყარზე მდგარ ერს მიმართა. მაშინ მან თქვა, რომ არსებობს ორი გზა: ერთი - ბარაბას გზა და მეორე - ერის ჭეშმარიტი განწმენდისა და გადარჩენისკენ, თავისუფლებისკენ სავალი გზა - აირჩიეთ, რომელი გზით გინდათ სიარული. მან ეს სიმძიმე არჩევანისა ერს დაადო მხრებზე და ერმა, საბედნიეროდ, ის გზა აირჩია, რომელიც მის ზნეობრივ-მორალურ სახეს მიესადაგებოდა.

მინდა დაახლოებით ასეთი აზრი გავატარო: მიმაჩნია, რომ არჩევნებში მონაწილეობა არის გაუმართლებელი ნაბიჯი. მაშინ, როდესაც თითქმის ნახევარი ტერიტორიისა დაკარგული გაქვს და ვერ აკონტროლებ, არჩევნების ჩატარება ნიშნავს, მინიმუმ, იმ ტერიტორიების დაკარგვის დაკანონებას (ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება იმას, რას ჩაწერ კონსტიტუციაში).

**კორ.- მაგრამ შევარდნაძე რომ ჰპირდება ხალხს - დაკარგულ ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ და ლტოლვილების საკითხსაც მოვაგვარებთო?**

გ.მ. - ღმერთმა ქნას, რომ ეს ასე იყოს, მაგრამ ჩვენ ხომ ანალიზური აზროვნების უნარი გვაქვს. მეცნიერი ხშირად იმით განსხვავდება ჩვეულებრივი ადამიანისგან, რომ მას ექსტრაპოლაციის და ინტერპოლაციის უნარი აქვს, ანუ ცნობილ კანონზომიერებას ინტერპოლირებას გაუკეთებს უცნობ არეში, ანდა პირიქით -ექსტრაპოლირებას. ამით ის იმ დაგროვილ ჭეშმარიტებას, ლოგიკის გამოყენებით, სხვა სიტუაციაში გადმოიტანს ხოლმე. ყველაფერი მოწმობს იმას, რომ შემოთავაზებული გზით საქართველოს შემადგენლობაში ვერ დაბრუნდება ის, რაც წართმეულია.

კომუნისტებს, ყველა სხვა “სიკეთესთან“ ერთად, კიდევ ერთი უზნეობა ახასიათებთ - მონანიება არ იციან. ისე შევიდნენ ეკლესიაში, ისე შეაღეს სიონის კარი, რომ არ მოუნანიებიათ ის დანაშაული, რაც ჩაიდინეს ღმერთისა და ერის წინაშე მთელი 70 წლის განმავლობაში. მორალურად - მაინც ჩვენ გავიმარჯვეთ! და ახლაც ვიმარჯვებთ, როცა ვხედავთ, რომ სწორედ იმ ბარაბების ქვეშ იწვის უკვე მიწა. განა სულიერი გამარჯვება არ არის, რომ მე და ბევრი ჩემი მეგობარი და კოლეგა, ვინც ამ პოზიციაზე დარჩა, წელგამართულნი დავდივართ ქუჩაში და თამამად ვუსწორებთ თვალს ერთმანეთს?

მართალია, ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ დროებით, რადგან საბოლოოდ ზნეობა გაიმარჯვებს და საქართველოც გაიმარჯვებს უთუოდ. ადამიანის ცხოვრება, საერთოდ, სავსეა პარადოქსებით. ცხადია, ჩვენიც. რამდენი რამ გადაგვხდა, მაგრამ მაინც გვინდა, რომ ყველაფერს სიცოცხლეშივე მოვესწროთ. სამწუხაროდ, ასე არ ხდება. განა ოდესმე წარმოვიდგენდი, რომ უნივერსიტეტის ეზოში ეკლესია აშენდებოდა? არა აქვს მნიშვნელობა, რანაირად აშენდა, ვის მიერ აშენდა. ისევ ბატონი ზვიადის სიტყვებს გავიხსენებ - ნუ გადავიტანთ ჩვენს პირადულს ეკლესიაზე, მართლმადიდებლურ რწმენაზე. ნუ ვართ სულსწრაფები, ნუ გვინდა, ცხოვრებაშივე მოვესწროთ ყველაფერს. დავიმახსოვროთ: “რაიც ღმერთსა არა სწადის, არა საქმე არ იქნების.“.

**კორ. - თქვენ უნივერსიტეტში მოღვაწეობთ და, ბუნებრივია, ხედავთ რა განწყობაა სტუდენტ-ახალგაზრდობაში და როგორია მათი დამოკიდებულება არჩევნებისადმი.**

გ.მ. - ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოს მომავალი ცხოვრებისა და განვითარებისთვის. საუბედუროდ, ახალგაზრობის დიდი ნაწილი ინდიფერენტულია. ახალგაზრდობა პრაქტიკულად დაყვეს სამ ჯგუფად. ერთ ჯგუფს მისცეს ხელში იარაღი და უთხრეს: - ძარცვე, იქურდე, რაც გინდა ის მოიმოქმედე, პასუხს არაფერზე აგებ... და ამით გარყვნეს. მეორე ჯგუფს უთხრეს: - შენ “თავისუფალი“ ქვეყნის შვილი ხარ და აბა, როგორც მოახერხე, დატოვე შენი ქვეყანა, წადი სასწავლებლად თუ სამუშაოდ სადმე სხვაგან, უცხოეთში. მესამე ჯგუფში დარჩა ძალიან მცირე ნაწილი, რომელიც კატეგორიულად აცხადებს: - ეს ჩემი ქვეყანაა, არსადაც არ წავალ და არც იარაღს ავიღებ ხელში! მაგრამ სოციალურად ისინი გარიყულნი რჩებიან, რადგან ვერ ერგებიან ვერც ერთ სტრუქტურას და ბრძოლის უნარიცა და პროტესტის გამოხატვის უნარიც დაკარგული აქვთ. არჩევნებში მონაწილეობის ან არმონაწილეობის საკითხში ახალგაზრდობა აბსოლუტურად ინდიფერენტულია, გარდა “ნეოკომკავშირული“ ელიტისა. ეროვნული მოძრაობა რომ კრიზისის ზღვარს მიუახლოვდა (მე, რასაკვირველია, ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობაზე მოგახსენებთ), ძირითადად იმის ბრალია, რომ მან დაკარგა ახალგაზრდობა - ეს აშკარაა.

**კორ. - ახალგაზრდობა რომ უდავოდ დიდი ძალაა, ამაში ადრეც დავრწმუნდით. თქვენის აზრით, როგორ შეიძლება დავაბრუნოთ ის ეროვნულ მოძრაობაში?**

გ.მ. - ახალგაზრდების ცხოვრების სწორად წარმართვაში უდიდესი როლი ენიჭებათ ცალკეულ პიროვნებებს. ცხადია, ჩვენგან განსხვავებით, ახალგაზრდობას სხვა ორიენტირები აქვს და სანამ საზოგადოებაში ეს პიროვნებები არ გამოჩნდებიან, ახალგაზრდობას ვერ აიყოლიებ. ის უნდა აიყოლიოს იმ პიროვნებამ, ვისაც ერის პულსზე აქვს ხელი დადებული და გრძნობს, როგორ ფეთქავს ეს პულსი, იცის, როდის შეიძლება მოუწოდოს ერს აირჩიოს ესა თუ ის გზა. ასეთი ადამიანები იშვიათად იბადებიან - შეიძლება, საუკუნეში ერთხელ. წარმოიდგინეთ, რა ტიტანური ძალა ჰქონდათ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას. ისინი ახალგაზრდებისთვის იყვნენ მაგალითის მიმცემნი. და სანამ ასეთი გმირები კვლავ არ გამოჩნდებიან, ვეჭვობ, ამ საქმეს ეშველოს.

ახალგაზრდობის პრობლემა უდავოდ დღეს ერთ-ერთი უმთავრესია და სხვას თუ ვერაფერს ვახერხებთ, ის მაინც უნდა ვუთხრათ, რომ ტყუილად არ არის დაწერილი:

“არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს,
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.“

ასეა ეს და სანამ ამას არ შევიგრძნობთ, სანამ ფლორიდის ან კალიფორნიის შტატებში ბოდიალზე ოცნებებს არ დავანებებთ თავს და ახალგაზრდობას რეალური ეროვნული ფასეულობებისთვის ბრძოლის აუცილებლობას არ შთავაგონებთ - მანამ ყოველთვის დამარცხებულები ვიქნებით.

მაინც არა მგონია, რომ ერმა საბოლოოდ მხარი დაუჭიროს საზოგადოების გაუნათლებელ და ბნელ შრეს. ისე გამოვიდა, თითქოს ერმა მართლა ანაცვალა ინტელიგენტი არაინტელიგენტს, ჭეშმარიტი მორწმუნე ქრისტიანი - ორთოდოქს კომუნისტს. მაგრამ არა! ერმა, ხალხმა კი არა, რაღაც პატარა ჯგუფმა, ძალადობის გამოყენებით.

მე იმ ჭეშმარიტად ზნეობრივი გზისკენ მოვუწოდებდი ქართველობას, ჩემს საყვარელ ახალგაზრდობას, შვილებს, შვილიშვილებს, ჩემს ტოლებს, უფროსებსაც, რომელიც იმ ნათელ დროს აირჩია ერმა. დაფიქრებით უნდა იყოს ეს გზა არჩეული. მაგრამ დაფიქრდით არა მაშინ, როცა საარჩევნო ურნასთან მიხვალთ, არამედ გაცილებით უფრო ადრე.

ყველა დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ საბოლოო გამარჯვება ზნეობასთან, სიკეთესთან, ნათელთან არის დაკავშირებული და მათ მიერაა განპირობებული.

## საქართველოს ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირის გამგეობის განცხადება

საქართველოს ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირი 1990 წ. 28 ოქტომბრის პირველ საყოველთაო მრავალპარტიულ არჩევნებში საარჩევნო ბლოკის “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ გამარჯვების შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში.

1991-1992 წ.წ. დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ეროვნული ხელისუფლება დევნილობაში აგრძელებს მოღვაწეობას. აღნიშნული გარემოების გამო, ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი არ ღებულობს მონაწილეობას ფაქტიური ხელისუფლების მიერ 1995 წ. 5 ნოემბერს დანიშნულ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში. ნებისმიერი წევრი, რომელიც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, ორგანიზაციის გარეთ დააყენებს თავს.

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი ყოვლად დაუშვებლად მიიჩნევს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა მონაწილეობას ამ არჩევნებში.

დავამ პოლიტიკური ბრძოლის საშუალებების თაობაზე, დღევანდელ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თითქმის გადაულახავი წინააღმდეგობა წარმოშვა, რომელმაც, შესაძლებელია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სრულ კრახამდე მიიყვანოს, რაც დამღუპველია ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის.

საქართველოს ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი შეშფოთებას გამოთქვამს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში არჩევნებისადმი არაერთგვაროვანი მიდგომის თაობაზე, შესაძლო ინსპირირებული დაპირისპირების განვითარების გამო. ამიტომ, მოუწოდებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ორგანიზაციას კოორდინირებული ქმედებისკენ.

*საქართველოს ეროვნული ფრონტი*
*-რადიკალური კავშირის გამგეობა*
*23.09.95 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "მხედრიონის" ბედი, ძმაო, ძნელია..."

ასე მღეროდნენ მხედრიონელები, როდესაც კბილებამდე შეიარაღებულნი და საგანგებოდ დაგეშილნი განსაცვიფრებელი აღტყინებით მიემართებოდნენ დასავლეთ საქართველოს დასალაშქრად. მათი მოღიმარი სახეები და მოძმესთან ბრძოლის შესაშური ენთუზიაზმი გერმანელი ოპერატორების მიერ გადაღებული ვიდეოფილმის წყალობით სამუდამოდ დარჩება მომავალს, როგორც ტრაგიკული პორტრეტი გაბრიყვებული და გაწბილებული თაობისა.

მაშინ, როდესაც" მხედრიონი" კალვერას ბანდასავით შეესია დასავლეთ საქართველოს, ყველას ეგონა, რომ ამ სადამსჯელო ბატალიონის ხელშეუხებლობა ურყევია, უფლებები განუსაზღვრელი, ხოლო არსებობა მარადიული. თუმცა, მიტინგების დასარბევად, სამეგრელოს ასაწიოკებლად, თანამოქალაქეების დასაპატიმრებლად გაგზავნილი ბიჭები, ალბათ, გრძნობდნენ, რომ მათ მიერ არჩეული ცხოვრების წესი და საზოგადოდ მათი ხვედრი მართლაც რომ ძნელია.

მათ ნარკოტიკები და იარაღი დაურიგეს, ძარცვისა და კაცისკვლის ნებართვა მისცეს, თანამოძმეთა ხოცვისთვის მედლები დაჰკიდეს, ერთი სიტყვით, ყველანი გასვარეს, რათა საჭიროების შემთხვევაში მარტივად მოეშორებინათ. სულ მალე, მათი კომპრომეტირებული ლიდერის მსგავსად, ყველა მხედრიონელს კრიმინალის, ნარკომანის და მკვლელის იარლიყი მიაწებეს ფართო საზოგადოებრიობის თვალში, თვითონ კი ამ ჭუჭყისგან შორს დაიჭირეს თავი.

მართლაც, ქართველი ერის ცნობიერებაში "მხედრიონი" საზარელ ფენომენად იქცა (რასაკვირველია, მისივე შემქნელების წყალობით) და მისი ალაგმვისა და საბოლოო მოსპობის საჭიროებაც მომწიფდა. "მხედრიონს" დაუპირისპირდა სახელმწიფოს მეთაური და მთელი მისი იდეოლოგიური აპარატი. ამ ორგანიზაციის წამყვანი ძალა შემზარავი ტერორისტული აქტების მეშვეობით აილაგმა (რასაც "მხედრიონის" ხელმძღვანელობის მხრიდან თითქმის არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია), დაიწყო მათი კრიმინალური საქმეების ამოქექვა. მხედრიონელთა ერთი ნაწილი დაპატიმრებულ იქნა, მეორე, უფრო ელიტარული,

## ქეთევან ქურდოვანიძე

ემიგრაციაში წავიდა. ბიჭებს მოსთხოვეს იარაღის ჩაბარება და მხედრიონი პოლიტიკურ ორგანიზაციად გამოცხადდა.

თუმცა, არჩევნების წინ არც ამგვარი ნახევრად განიარაღებული და დასუსტებული სამხედრო-პოლიტიკური ფორმირების არსებობა აღმოჩნდა ფაქტობრივი ხელისუფლებისთვის მისაღები და ერთ მშვენიერ დღეს, "მხედრიონს" ყველაფერი ერთად დაბრალდა: სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაკარგვა, სამეგრელოს აწიოკება და თვით იმელის ეზოში მომხდარი აფეთქება, რომელიც არსებულმა ხელისუფლებამ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეაფასა.

ასე გახდნენ მხედრიონელები გაცხადებული პუტჩისტები, კრიმინალები, სამშობლოს მოღალატეები და მათი სახით არსებულმა ხელისუფლებამ შექმნა ახალი მტრის ხატი, რომელსაც ამის შემდეგ ყველაფერი ცალსახად დაბრალდება და რომელიც იქნება ახალი განტევების ვაცი, რადგან "ზვიადისტების" საგანგებოდ დამუშავებული თემა იმდენად გაცვდა, რომ თვით ორთოდოქსი პრეზიდენტმოძულეებიც კი (რ. ამაშუკელისა და ნ. დევდარიანის გამოკლებით) ველარ იღებენ ხმას.

ასეა თუ ისე, სახელმწიფოს მეთაურმა და მისმა იდეოლოგიურმა აპარატმა აფეთქების მოწყობა ქვეყანაში არსებულ შეიარაღებულ ფორმირებებს, კრიმინალურ სამყაროს და მაფიას დააბრალა, რისი ერთობლიობაც, საინფორმაციო საშუალებათა ენერგიული ძალისხმევის წყალობით, დღეს მხოლოდ "მხედრიონთან" ასოცირდება.

არადა, ყველაფერი სხვაგვარად იყო ჩაფიქრებული. აფეთქებამდე სულ მცირე ხნით ადრე მხედრიონის ლიდერმა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოინდომა შეხვედრა და მოლაპარაკების დაწყება. ეს არ დაუშვა ეროვნულმა მოძრაობამ, რითაც პრაქტიკულად ჩაშალა ამ პროვოკაციულ აფეთქებაში კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მონაწილეობის ყოველგვარი ალბათობა. მიუხედავად იმისა, რომ თავისი მისამართით მოსალოდნელი საყვედურების თავიდან აცილების მიზნით უშიშროების სამსახურმა "ზვიადისტების" მასიური დაპატიმრების საგანგებო ოპერაცია ჩაატარა და ამ ოპერაციას მხარი დაუჭირა სახელმწიფოს მეთაურის ყველა ფანატიკოსმა მომხრემ, აფეთქებაში "ზვიადისტების" მონაწილეობა თვით ედუარდ შევარდნაძემაც კი გამორიცხა (დედუქციური მეთოდით).

ასე რომ, "მხედრიონი" მარტო აღმოჩნდა აფეთქების პირისპირ. მართალია, ყველა მხედრიონელს უშუალოდ ამ მოტივით არ აპატიმრებენ (მათ შესახებ არსებობს უამრავი საბრალდებო მასალა) და არც განსაკუთრებულ აჟიოტაჟს ქმნიან მომხდარი აფეთქების გარშემო, მაგრამ ფაქტი ერთია - "მხედრიონს" ანადგურებენ, როგორც შეიარაღებულ ფორმირებას, როგორც პოლიტიკურ ძალას, როგორც დეკემბერ-იანვრის "დემოკრატიული რევოლუციის" ვეტერანს. ანადგურებენ და პასუხს სთხოვენ არა იმიტომ, რომ "მხედრიონი" დამნაშავეა, არამედ იმიტომ, რომ ისტორიიდან ამოშალონ ის საზარელი დანაშაულებანი, რომლებიც უზენაეს ხელისუფალთა მითითებით აკეთა "მხედრიონმა".

მხედრიონის საყოველთაო დევნისა და დისკრედიტაციის ფონზე, ოდიოზურად გამოიყურება მისი ლიდერის ხელშეუხებლობის ფაქტი და განუსაზღვრელი იმუნიტეტი, რომელიც მას უფლებას აძლევს რუსთაველის გამზირზე მშვიდად ისეირნოს გულზე დაბნეული წითელი მიხაკით.

არსებული ხელისუფლება კი სახტად დარჩენილ მხედრიონელებს, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარან რისთვის დაერივნენ ასე, პასუხობს, რომ მათ იჭერენ მაშინ, როდესაც საჭიროა და სადაც საჭიროა.

მართლაც, სავსებით ნათელი და ამომწურავი პასუხია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ყოველთვის მორჩილად, ყოველგვარი ზნეობრივი ბარიერის გარეშე ასრულებენ ნებისმიერ ბრძანებას და თან ჰგონიათ, რომ ეს არის წუთისოფელში მათი არსებობის ერთადერთი და პირუთვნელი გზა.

## რეიდები... შევარდნაძის მხარდასაჭერად

საქართველოში აღარაფერია დაუჯერებელი. ამიტომ დაიჯერეთ, რომ... თბილისის ქუჩებში გამოფენილი პოლიცია, რომელიც ვითომდა კრიმინალების გამოსავლენად რეიდებზეა გამოსული, თურმე სინამდვილეში, შევარდნაძის სასარგებლო აგიტაციას წარმართავს. მეტიც, ხელმოწერებს აგროვებს.

როგორც შეგვატყობინეს, ვაგზლის მოედნის სიახლოვეს გამართულ ბაზრობასთან საგზაო წესრიგის დამრღვევებს პოლიცია საფასურადართმევდა არა რუსულ რუბლებს ან ამერიკულ დოლარებს, არამედ ხელმოწერებს შევარდნაძის მხარდასაჭერად.

საქმეში ჩართულია არა მხოლოდ მილიცია. მსოფლიო დონის პოლიტიკოსის მხარდაჭერას ქალაქებში უზრუნველყოფენ სახლმმართველობები, ხოლო სოფლებში - მეურნეობები. თუ ვინიცობაა, დაგჭირდათ ფორმა N1, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორაში აუცილებლად უნდა მოაწეროთ ხელი მოქალაქეთა კავშირის ლიდერის მხარდასაჭერ ფურცელს. სოფლებში ეს პროცესი უფრო ორგანიზებულ, თითქმის დამკვრელურ (სტახანოვურ) ხასიათს ატარებს: მოსახლეობას პასპორტებითურთ იბარებენ ვითომდაც მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით (მაგალითად, მიწის პრივატიზაციის) და ხელს აწერინებენ გაურკვეველი დანიშნულების სიებზე, რომლებიც თანაბრად შეიძლება გამოდგეს როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის წარსადგენად, ისე არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის შესავსებად.

ამდენად, საფიქრალია, რომ შევარდნაძის მხარდაჭერაც და არჩევაც გარანტირებულია. ასე რომ, საქართველოს მოქალაქენო, ტყულად ნუ გაირჯებით და ნუ მიხვალთ არჩევნებზე, რომლის შედეგები წინასწარვეა გადაწყვეტილი - შევარდნაძემ თავისი თავი უკვე აირჩია.

# ბენეტონის "ფანტასტიური" მაისური ედუარდ შევარდნაძისთვის

მას შემდეგ, რაც არსებული ხელისუფლების დიდი ძალისხმევით ქვეყანაში სტაბილიზაცია და სიმშვიდე დამყარდა, საყოველთაოდ განთქმული სატელევიზიო გადაცემა "საღამო მშვიდობისა", რომელიც ერთდროულად იძიებდა, აფასებდა და განაჩენი გამოჰქონდა პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისთვის, ერთი შეხედვით უწყინარმა სატელევიზიო შოუ-თამაშმა შეცვალა. ეს არის რუსული გასართობი თამაშების უგემოვნო ნაზავი. იგი მთელი ღამე მიმდინარეობს და თამაშში გამარჯვებული პირი მოგებული ფულით, აგრეთვე მთელი ღამით, თამაშის მონაწილეებს ეპატიჟება ელიტარულ კაფე-დისკოთეკებში.

გადაცემის ხარისხსა და დონეს არ შევეხებით, რადგან კლასიკურ პროვინციულ უსუსურობასთან გვაქვს საქმე და საყოველთაო მამათიზაციის პირობებში საუბრადაც არ ღირს ეს მცირე დეტალი. ჩვენი ყურადღება უფრო მნიშვნელოვანმა ელემენტმა, გადაცემაში დაწესებულმა პრიზებმა მიიქცია. თუ თამაშის მონაწილე სასწაულებრივ გამოიცნობს წამყვანის მიერ საგანგებოდ დასმულ უმარტივეს შეკითხვას, მას პრიზის სახით გადასცემენ ხოლმე ბენეტონის ფირმის "ფანტასტიურ" მაისურს.

მაისურის დანახვასა და ხსენებაზე ბოლო დროს დატრიალებული მოვლენები გაგახსენდება, კერძოდ, იმელის ეზოში მომხდარი აფეთქების დროს ვ. რჩეულიშვილის მიერ გადარჩენილი სახელმწიფოს მეთაურის გაჭვარტლული სახე და უცნაური ფორმის მაისური, რომლის ფირმა და წარმომავლობა ფართო საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს იწვევს.

მართლაც, ძველმოდური, ჭვარტლიანი მაისური ვერაფრით შეედრება ბენეტონის ფირმის "ფანტასტიურ" მაისურს, ასე უშურველად რომ ურიგებს "საღამო მშვიდობისას" კანონიერი მემკვიდრე თავის ყველა მონაწილეს. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ძველმოდური, ჭუჭყიანი მაისური წილნაყარ იქნა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ და იგი ქალბატონ მანანა გიგინეიშვილს ერგო იმ პირობით, რომ პატივცემული პარლამენტარი ამ სიწმინდეს ხანდახან ათხოვებს მეორე პატივცემულ პარლამენტარს, ქალბატონ ნანა დევდარიანს.

ასე რომ, სახელმწიფოს მეთაური მაისურის გარეშე დარჩა. გამოსავალი ერთია, სასწრაფოდ მიწვეულ იქნეს ედუარდ შევარდნაძე ღამის შოუ-თამაშზე და თუ იგი სასწაულებრივ ერთ უმარტივეს კითხვაზე მაინც გასცემს პასუხს, გადაეცეს ბენეტონის ფირმის "ფანტასტიური" მაისური.

ქ.ქ.

ა.წ. 16 სექტემბრის "საქართველოს რესპუბლიკა" იტყობინება, რომ ბათუმში ვიზიტის დროს სახელმწიფოს მეთაურმა არ გააწბილა ბათუმელები და ბათუმის აეროპორტიდან პირდაპირ სტადიონს ეწვია: "ათიათასობით მაყურებელი ოვაციებით შეხვდა სახელმწიფოს მეთაურის მოსვლას და... სულ მალე ანგარიშიც გათანაბრდა." როდესაც "საქართველოს რესპუბლიკაში" ამ მძივივით აკინძულ სტრიქონებს კითხულობ, ძალაუნებურად გახსენდება კომუნისტური პერიოდის ნომენკლატურული პრესა და მისი მუშაობის სტილი. გვახსოვს, რუსთაველის თეატრის ედინბურგის ფესტივალზე გამარჯვების შედეგად, აბაშაში როგორ იმატა წველადობამ. ისიც გვახსოვს, ბრეჟნევის ჩამოსვლას უხვმოსავლიანობა რომ მოჰყვა.

# სტადიონებზე გამოსვლის პრაქტიკა გრძელდება

### შევარდნაძე არ ღალატობს თავის ამპლუას

ასეთივე სასწაულებრივი ზემოქმედება მოახდინა სახელმწიფოს მეთაურის მისვლამ ფეხბურთის მატჩზე ბათუმში.

ასლან აბაშიძესთან ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემების მოსაგვარებლად ჩასულმა ედუარდ შევარდნაძემ, როგორც სჩვევია, სტადიონზე პოპულისტური გამოსვლით დაიწყო პოლიტიკური სიტუაციის "ათვისება", მაგრამ ქართველ ფეხბურთელებს თვით სახემწიფოს მეთაურის სასწაულმოქმედმა ფეხმაც ვერ უშველა. აკი თვითონვე სინანულით განაცხადა: ვერაფრით დავეხმარე ბათუმის დინამოსო.

განსაკუთრებული ტრაგიზმი იგრძნობოდა სტადიონის და საერთოდ აჭარის აღმშენებლის ასლან აბაშიძის გულისმომკვლელ სიტყვებში: "ამჯერად ბატონი ედუარდი ვერ გავახარეთ ფეხბურთის მატჩის შედეგით, რას იზამ, ფორტუნა ჩვენს მხარეს არ იყო."

მართლაც საშვილიშვილო საქმეა სიკვდილს სასწაულებრივ გადარჩენილი სახელმწიფოს მეთაურის გახარება ამ გაგანია არჩევნების წინ. თუმცა, ამგვარი პრეროგატივის საკუთარ თავზე აღებას და მის განხორციელებას მართლაც ფორტუნა სჭირდება.

მანამდე რა საკითხებზე ისაუბრეს მეთაურებმა, არავინ იცის. ყველაფრიდან ჩანს, რომ "ორი მეთაური" შესანიშნავად ახერხებს სპორტული ცხოვრების მსუბუქი კამუფლაჟი გაუკეთოს საეჭვო ღირებულებებით დამძიმებულ საკუთარ მოღვაწეობას.

# პატარა ქალაქის საფესტივალო ეპიზოდები

ბოლო სამი წელიწადია, რაც თვალშისაცემი გახდა თბილისური ელიტის განსაკუთრებული ლტოლვა ბათუმისადმი. თბილისელები ერთმანეთს ეჯიბრებიან ბათუმის სიყვარულში. ამ ეიფორიის ფონზე, ცოტას თუ ახსოვს შავი ზღვისპირეთის ის იავარქმნილი ქალაქები, რომლებიც ჩვენი აღარ არის. მათზე არავინ წუხს, არავინ დარდობს... სამაგიეროდ, აფხაზეთის კურორტებს გაუცხოებული თბილისელი სნობები ლამის მუხლმოყრილნი ეფიცებიან სიყვარულს და ერთგულებას საქართველოს ოაზისად წოდებულ აჭარის ჯერ კიდევ ჩვენს დედაქალაქს.

ბოლოდროინდელ ქალაქურ მოდაზე აყოლით, საერთაშორისო კინოფესტივალმა "ოქროს არწივი" თავისი კულტურული ლაშქრობის სამიზნედ აჭარა აირჩია. საკუთარ დღესასწაულებს და ზაფხულობით ზღვაზე დასვენებას ნაჩვევმა ელიტამ გეზი "ქათქათა" კურორტისკენ აიღო, თუმცა თავად ბათუმს, მიუხედავად წინასაფესტივალო ხმაურიანი რეკლამისა, დიდად არ დასტყობია ზეიმის მოლოდინი.

"ოქროს არწივის" მესვეურნი ქობულეთის მყუდრო სასტუმროში დაბინავდნენ და მხოლოდ ფესტივალის გახსნასა და დახურვაზე დასწრებით თუ შეახსენეს ბათუმელებს თავი. საფესტივალო ფილმებს კინოთეატრ "თბილისის" სასოწარკვეთილი დირექცია თითქმის ცარიელ დარბაზში აჩვენებდა. შელახულ თეთრ ტილოზე წათხაპნილი რეკლამა ობლად და საცოდავად გამოიყურებოდა. დაპირება, რომ მაყურებელი ყველა სეანსის წინ შეხვდებოდა ფილმის შემოქმედებით ჯგუფს, საქმეს ვერ შველოდა, მით უმეტეს, რომ არც მაყურებელს, არც შემოქმედებით ჯგუფს არაფრით გამოუხატავს ერთმანეთთან შეყრის სურვილი.

ასე რომ, ყველა ფესტივალის ამ აუცილებელ ატრიბუტსაც კი მოკლებული იყო ბათუმის თბილისური ფესტივალი. ვერც დიდი სტუმრიანობით მოიწონებდა მაინცდამაინც თავს ეს უნიკალური კულტურული ღონისძიება. როგორც ჩანს, სტუმრებმა არ დაიჯერეს შევარდნაძის ავანსი "კიდევ ერთხელ დავანახებთ მსოფლიოს, რომ ჩვენ სიყვარულისა და მშვენიერების ქვეყანა ვართ"..

თურქეთიდან, რუმინეთიდან, ალბანეთიდან, მთელი ცივილიზებული ევროპიდან დანაპირები სტუმრების მაგივრობა ისევ ძველმა მეგობრებმა - "ესენგელებმა" გასწიეს. ისინი აქაც მხარში ამოგვიდგნენ. ფესტივალი განსაკუთრებით იწონებდა თავს კონჩალოვსკის რამდენიმეწუთიანი ვიზიტით ქობულეთში.

თითო-ოროლა უცხოელის მოკრძალებული ჩივილი იმის შესახებ, რომ ფილმების დემონსტრირება მათთვის გაუგებარ ენაზე ხდებოდა, ფესტევალის ადმინისტრაციის მიერ მოგერიებულ იქნა სახსრების უქონლობის მოტივით.

თუმცა, საეჭვოა, შეზღუდული ფინანსური სახსრების იმედად გამართულიყო ესოდენი პრეტენზიების მქონე ფესტივალი. როგორც ჩანს, მისმა ორგანიზატორებმა უფრო საშური მიზნები იპოვეს ფინანსების ასათვისებლად.

ერთი სიტყვით, წყნარ, მყუდრო ქალაქს ვერაფრით მოაწონა თავი პროვინციალიზმის სურნელით გაჟღენთილმა თბილისურმა "ფესტივალმა"

გიორგი ცინცაძე

# TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA) N20 (1995) in brief

## Patrols... in Support of Shevardnadze

Nothing remains unbelievable in Georgia. So, do believe, that ... the police that literally flooded the streets of Tbilisi patrolling the town under the pretense of revealing criminals are actually engaged in election campaign in Shevardnadze's favor. Even more, they are collecting signatures for subscription lists.

As we have been informed, at the fair arranged in the vicinities of Railway Square violators of traffic rules were fined with putting their signatures in subscription lists in support of Shevardnadze instead of paying Russian rubles or US dollars.

Not only the police is engaged in such activities. The support of the world rank politician is ensured by house manager's offices in towns and local authorities in villages. If by chance you require Form #1 from the house manager's office you can receive it only if you sign the subscription list in favor of the leader of Citizens' Union. In villages this process is more organized and has nearly shock-worker movement nature: the population is summoned to come with their passports to the offices under the pretense to clarify some agricultural problems (for example problems concerned with land privatization) and people are induced to sign some obscure lists, which can be equally used to present the candidate for presidency and to find out the number of voters.

Thus, it seems, that both supporting of Shevardnadze and his election is guaranteed. So, dear citizens of Georgia, do not waste your efforts and do not go to the ballot-boxes, since the results are already known - Shevardnadze has already elected himself.

## The State of Health of Political Prisoner Ramaz Vanishvili Aggravated

On this fact reported the Human Rights Commission of Georgian Helsinki Union. In November, 1993, while being arrested he was wounded in hand and being unconscious lost much blood. Left without any medical aid - the doctor was not allowed even to plaster his hand - the political prisoner was transferred to #1 Tbilisi Isolator where he was not rendered any medical aid either. As a result the wound of Ramaz Vanishvili complicated; it became purulent and the fractured bone healed improperly. As a result he cannot use his hand so far.

Besides, in July, 1994, due to the unbearable conditions and terrible sanitary state of the Isolator, the political prisoner developed acute form of hepatitis and he again was left without medical aid. As a result the prisoner had two relapses of the disease. Thus Ramaz Vanishvili deprived of any medical aid remained sick for months.

Presently the political prisoner who is serving his term in Rustavi strict regime colony is complaining of severe pains in hand, his liver is damaged as a consequence of past history of hepatitis, he has frequent episodes of vomiting, pains in abdominal area and absence of appetite. To this add the signs of some unrecognized intestinal infection.

Human Rights Commission of Georgian Helsinki Union considers it necessary to examine the patient and render him adequate treatment, which are impossible to provide in the Colony. For his reason the Commission demands urgent hospitalization of political prisoner Ramaz Vanishvili.

## Gela Gachechiladze's Hunger Strike Is Kept in Secret

One of the participant of "Kvareli Case" Gela Gachechiladze who is serving his term in prison, declared hunger-strike from September 11. On September 19, his parents who came to prison to hand him the food parcel were informed that their son was in his second day of hunger strike and was placed in punishment room. At the same time they concealed the reason which impelled the political prisoner to use this extreme form of protest as well as the demands put forward by the hunger-striker. The head of the prison Mr. Kopadze refused to accept the parents of the convict.

G. Gachechiladze is serving the third year of his term together with other convicts of "Kvareli Case", who were transferred to a more strict imprisonment regime under the false pretense of "attempt to escape" from Ksani Colony. According to the information of his family members, the state of his health is significantly shaken by the unbearable conditions existing in the closed prison, and one more hunger-strike can be fatal for him.

## Nemo Chanturia Is Again in Jail

As we have learned on September 15, the political prisoner Nemo Chanturia who suffers from acute diabetes mellitus, was unexpectedly transferred from the Republican Prison Hospital to Tbilisi #1 Isolator (closed prison known as "Kriti"). Neither respective bodies nor other medical specialists showed any interest in finding out whether the patient in his condition can be considered fit for being kept in jail. It is noteworthy, that on September 30 the term of keeping Nemo Chanturia in prison comes to end and he should be transferred to the colony.

Human Rights Commission of Georgian Helsinki Union demands to release the political prisoner Nemo Chanturia and declares that the life of diabetic patient in the prison and colony which do not have elementary sanitary and living conditions is jeopardized. Meanwhile the Commission firmly demands to transfer the political prisoner to Avchala Colony instead of Ksani Colony, since in case if the diabetic patient develops coma, he will not be able to receive any medical aid in Ksani Colony, while his urgent transportation to Tbilsii is less than probable which threatens the life of the patient. Provided Nemo Chanturia is placed in Avchala Colony he in case of necessity could be urgently transported to the Republican Hospital and rendered adequate medical aid.

*N.Ch.*

## Investigation Very Often Proves to Be at the Service of Authorities Rather than Truth

**In the previous issue of our newspaper was published information about the arrest of Shota Ratiani on August 30, 1995. Below we are offering the interview with the lawyer of the political prisoner Mr. Merab Navrozashvili.**

**Correspondent: Mr. Navrozashvili, what was the basis of arresting your defendant Shota Ratiani?**

Merab Navrozashvili: Shota Ratiani is suspected of "Participation in Treason and Preparation of Terrorist Act Against the Official State Person with the Aim of Overthrowing of State Authorities and Coming in Power". Such is the warrant given out by the Prosecutor of Republic. However, the investigation alleged him of the following: creation of the anti-state organization together with other persons, its goal being armed occupation of the building of the Parliament, capturing of the Head of the State and in case of necessity his physical extermination and seizing the power. This terrorist organization was claimed to be created 7 days prior to the committed terrorist action.

This charge is absurd, since on August 28 - St. Mary's Day - as well as on August 29 - the day of committing of terrorist action - Shota Ratiani was having dinner at his friend's with other guests invited and all of them learned about the explosion while having their dinner. I demanded to interrogate the persons named by Sh. Ratiani to clarify the case, but the investigation has not done it so far.

**Corespondent: What probation does the investigation have against the defendant?**

M.N. - Shota Ratiani was alleged of participation in the anti-state organization without any specific documented proofs.

**Corespondent: Mr Navrozashvili, could you tell us about the violations at this stage of investigation?**

M.N. - I believe, that in accordance with Article 160 of the Criminal Code in effect, if the testimonies of the suspect and witnesses contain significant discrepancies, the investigation is obliged to arrange the confrontation. Shota Ratiani denies his participation in any anti-state activities, claiming that he had neither intention nor the wish to attack the Parliament building and commit terrorist action against the Head of the State. If anyone would make a statement about his participation in such activities, they should have been subjected to confrontation in accordance with the above article.

**Corespondent: Do you believe that the defendant is innocent? And if so, what have you done to make him released?**

M.N. - On September 11, I put an official motion saying that the charge brought against Sh. Ratiani was very general, absolutely ungrounded and the defendant should be released from the arrest. However my motion was rejected.

**Correspondent: Mr. Navrozashvili, do you believe that Ratiani was arrested for political motives?**

M.N. - Considering the fact, that Sh. Ratiani does not make it secret that he is a supporter of the lawful authorities, the grounds for his arrest seem to be political.

**Corespondent: Have you read the testimonies given by the other suspects arrested in relation to this Case? What were the grounds for their arrest? Were they subjected to confrontation?**

M.N. - I cannot provide any specific answer to this question, since on April 5, 1995, the Parliament made amendments in the Criminal Code according to which the lawyer has the right to get familiar only with his defendant, in our case it is Sh. Ratiani's explanations and testimonies, protocols of his interrogations. According to the above Law the lawyer is actually deprived of the right to get familiar with the materials of the Case. I would also like to notice, that this law roughly violates not only the rights of the defendant but the rights of the defense as well. The lawyer is not able to provide the sound defense to his client. This Law makes the materials of investigation secret for the lawyer thus depriving the defense of all possible lawful forms to defend the interests of his defendant. On the background of building democratic State, if such state is really building at all, the Parliament adopted evidently antidemocratic Law. While in other civilized, juridical countries the lawyer has the right to conduct the independent investigation, in our democratic Georgia, the lawyers are deprived of even those rights which they had during the Communist period.

## Tengiz Kitovani: "Dokvadze and Gelbakhiani Are not Murderers

In the previous issue of the "Rezonansi" newspaper was published he account of the press-conference arranged by the Chairman of Human Rights Committee Sandro Kavsadze. It said that Kitovani and Zeikidze independently from each other made statements about Dokvadze and Gelbakhiani being innocent in committing the crime they were convicted for. Then Mr. Kavsadze said that he did not trust such statements, though they could be considered. After this publication the "Rezonansi" received the following letter:

To Editorial Board of the "Rezonansi" Newspaper and Mr. Sandro Kavsadze.

Mr. Kavsadze, I have made a written statement to the Prosecutor's Office saying that Dokvadze and Gelbakhiani are not murderers. The Prosecutor's Office should have considered my opinion first as that of the deputy and second basing on the intelligence data available then which testified that the executors of were absolutely different people, not those whom Mr. Dolidze sentenced to death for which he had to be responsible.

I consider it my duty to declare that Gelbakhiani and Dokvadze are not murderers and I would like the society to be aware of it; I am not appealing to those who are ready to burst from hostility and are blood-thirsty suffering from a special spiritual disease. We have done enough mistakes and shot down so many innocent people. It is time now for everybody to look at what is happening with unbiased eyes, and I appeal to Mr. Dolidze not to leave his descendants with the name of murderer father.

*Yours sincerely*
*Tengiz Kitovani*

**1995 "Rezonansi", #83 (358), August 10-11.**

## Pre-Election Campaign of the Citizens' Union Started with a Scandal

On September 21, the Central Commission of Elections received the information, that in the pre-election period the Citizens' Union is distributing humanitarian aid which contradicts Article 47 of the Elections Law, in accordance to which "All parties, blocks and candidates for member of Parliament, as well as their confidential persons are forbidden to provide the population with material and commodity values to win their votes. If such precedent takes place the registration of parties, blocks and candidates for members of Parliament participating in the elections, is annulled".

To check this information several members of the Elections Commission including the representatives of Ilia Chavchavadze and Merab Kostava's Societies went to the house located in #8 Lermontov street and recorded the fact of such violation, having written adequately formed Protocol.

Basing on this fact, at the session of the Central Commission of Elections held on September 22, the issue of including the question about annulling the registration of the Citizens' Union into the Agenda of the session was put forward. Thus with the majority of 5 votes this issue should have been considered, but immediately before the voting this issue the Chairman of the Election Commission Mr. Ivane Kiguradze made a statement about his resignation, which made impossible to continue the session.

The scandal became known to the society irrespective of the fact that mass media of Georgia kept silence about this fact. This information became known via the foreign mass media.

As the Chairman of Ilia Chavchavadze's Society Miss Tamar Chkheidze noted, it did not matter if the Citizens' Society was distributing the humanitarian aid provided by other agencies. What really counts is the fact that distribution was made on the behalf of the Citizens' Union. Such practice has become quite regular, but it became unlawful only from the day the Elections Law was brought in effect. In any legislative State such actions should be followed by annulling of the party registration, but in Georgia, where unlawfulness is reigning, one cannot hope that the truth will win the victory.

As it could be expected, the events developed in a way typical for political life of Georgia - the Chairman of the Commission refused from his resignation statement, the question of the Citizens' Union was left open, and it is implied that nobody will risk to annul the registration of Shevardnadze's Party and whatever violations it may commit in future this Party will inevitably participate in elections.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე

EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia